პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
შაბათი
19 ივლისი
№ 167 (17810)
ფასი 2 კაპ.

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში

# საერთაშორისო სპორტული ზეიმი

## მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეებსა და სტუმრებს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად მივესალმები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებს, საერთაშორისო სპორტული ფედერაციებისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელებს, მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური ასპარეზობის ყველა მონაწილეს და სტუმარს.

ოლიმპიური ასპარეზობა თვალსაჩინო მოვლენაა საერთაშორისო სპორტულ ცხოვრებაში, რომელიც გამოხატავს ხალხთა მისწრაფებას მშვიდობისადმი, თანხმობისა და სილამაზისადმი. ასპარეზობა ყოველთვის იპყრობდა და ახლაც იპყრობს ჩვენი პლანეტის მილიონობით ადამიანის უდიდეს ყურადღებას.

გულწრფელად პატივს ცემენ და განუხრელად უჭერენ მხარს საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობას საბჭოთა კავშირში. ფიზიკური კულტურა და სპორტი ჩვენს ქვეყანაში მუდამ იქო კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, მთელი ჩვენი ხალხის მუდმივი ყურადღებისა და ზრუნვის საგანი.

მიიღეს რა 1980 წლის ოლიმპიადის მოწყობის საპატიო უფლება, საბჭოთა ადამიანებმა ყველაფერი იღონეს, რათა მოსკოვის ოლიმპიური ასპარეზობა გახდეს უდიდესი საერთაშორისო სპორტული ფორუმი, რომელიც ყველაზე სრულად გამოხატავს კეთილშობილურ ოლიმპიურ იდეალებს. ასპარეზობის მომზადებისათვის მთელი მუშაობა მიმდინარეობდა ოლიმპიური მოძრაობის ტრადიციების, ოლიმპიური ქარტიის წესებისა და დებულებების სრული შესაბამისობით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისათვის მიცემული გარანტიების საფუძველზე.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ მოკლე ვადებში სახალხო მეურნეობის მრავალი დარგის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, სპეციალისტთა თავდადებული შრომის მეოხებით აშენდა, რეკონსტრუირებული და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილია შესანიშნავი სპორტული ნაგებობანი და სხვა ოლიმპიური ობიექტები. ერთი სიტყვით, შექმნილია ყველა საჭირო პირობა, რათა XXII ოლიმპიადის ასპარეზობა გაიმართოს მაღალ სპორტულ, ორგანიზაციულ და ტექნიკურ დონეზე.

ასპარეზობის მკაფიო და მრავალფეროვანი კულტურული პროგრამა წარმოაჩენს ჩვენი ხალხის მრავალეროვნულ ხელოვნებას.

1980 წლის ოლიმპიადის მომზადებისათვის მრავალმხრივი მუშაობის დროს მოსკოვის ოლიმპიური ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტი ახორციელებდა აქტიურ და ნაყოფიერ საერთაშორისო თანამშრომლობას საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან, საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებთან, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებთან, მსოფლიოს ბევრი ქვეყნის საქმიან წრეებთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან. ამან ხელი შეუწყო საერთაშორისო სპორტული, ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური კავშირურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

მინდა, რომ მეგობრობისა და ურთიერთგაგების იდეალები, რომლებითაც ოლიმპიური მოძრაობა ხელმძღვანელობს, მუდამ თან სდევდეს სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა შეხვედრებს. კმაყოფილებას მგვრის, რომ მოსკოვში ოლიმპიური დროშების ქვეშ შეიკრიბნენ ყველა კონტინენტის მეტი წილი ქვეყნების სპორტსმენები. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ უძლეველია ხალხთა მისწრაფება ურთიერთობისა და თანამშრომლობისადმი, რომელიც განმტკიცებულია მათი მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებითა და ტრადიციებით.

სულითა და გულით ვუსურვებ XXII ოლიმპიადის ასპარეზობის — ამ შესანიშნავი სპორტული დღესასწაულის მონაწილეებს ახალ მიღწევებს სპორტში, სასიხარულო და სასიამოვნო დღეებს ოლიმპიურ მოსკოვში.

ლ. ბრეჟნევი

ოლიმპიადა—80

სურათებზე: ოლიმპიური ჩემპიონი მარინე კოშევაია ოლიმპიური ჩირაღდნით მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შენობასთან; ასე შეხვდნენ ოლიმპიურ ცეცხლს მოსკოველები.

საკადეს-საქინფორმის ფოტო.

# ოლიმპიური ცეცხლი მოსკოვში

XXII ოლიმპიადის ასპარეზობის ცეცხლი მოსკოვშია! 18 ივლისს იგი მიიტანეს საბჭოს მოედანზე მოსკოვის საქალაქო აღმასკომის შენობასთან. ოლიმპიური ცეცხლის 47 მოსკოვური კილომეტრის თვლა დაიწყო სომფერი-პოლის გზატკეცილზე, სადაც მოსკოვის წრიული ავტოგზის გადაკვეთაზე დადგმულია სტელა წარწერით: „მოსკოვი, ოლიმპიიდან—4945 კილომეტრი“. აქედან ჩირაღდნით სტარტის საპატიო უფლება მიენიჭა ლიხაჩოვის სახელობის ქარხნის ავტომობილმწყობთა ბრიგადირს, კომუნისტური შრომის დამკვრელს, მე-3 ხარისხის შრომის დიდების ორდენოსანს ივანე მირონოვს.

და აი, უკანასკნელი ეტაპი საბჭოს მოედნის წინ. ჩირაღდნის ტარება მიანდეს ფიზკულტურის სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტის სტუდენტს ირინე მელნიკოვას. საპატიო ესკორტის თანხლებით იგი მიემართება უცნობი ჯარისკაცის საფლავის მარადიული ცეცხლისაკენ. ქალიშვილი ხრის ჩირაღდანს იმათ პატივსაცემად, ვინც სიცოცხლე შესწირა ქვეყნად მშვიდობასა და ბედნიერებას.

ტრიბუნაზე ადიან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები, საერთაშორისო სპორტული ფედერაციების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტები, ასპარეზობის საპატიო სტუმრები, „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის მოსკოვის საბჭოს ხელმძღვანელები. ტაშის გრიალით, მისასალმებელი შეძახილებით ეგებებიან შეკრებილები მეჩიჩარაღდნეს. ეს არის მონრეალის ოლიმპიური ჩემპიონი ცურვაში მარინე კოშევაია. იგი ადის კვარცხლბეკზე, რომელზეც მოთავსებულია ოლიმპიური ცეცხლის ცერემონიალური თასი. გაისმის: „ისმინეთ ყველამ!“ რეკავს კრემლის კურანტები. დღის ოთხი საათია. თასში ამრიალდა ცეცხლი. მოედანზე მყოფნი ერთხმად გაიძახიან: „სპორტი, მშვიდობა, მეგობრობა!“.

იწყება საზეიმო მიტინგი, რომელსაც ხსნის მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. თ. პრომისლოვი.

მიკროფონთანაა „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ე. ტ. ნოვიკოვი. ჩვენ მივესალმებით ოლიმპიურ ცეცხლს მოსკოვში, რომელიც ახლა ცხოვრობს ახალგაზრდობის, სპორტის, ადამიანის ფიზიკური და ზნეობრივი სრულყოფის მსოფლიო დღესასწაულის სასიხარულო მოლოდინით, თქვა მან. გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტის ყველა მონაწილესა და ორგანიზატორს — ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს, მორბენალ სპორტსმენებს, საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის ფართო საზოგადოებრიობას.

ოლიმპიური ცეცხლის თასს უახლოვდებიან ლენინგრადის, კიევის, მინსკისა და ტალინის წარმომადგენლები — ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონები ანატოლი როშჩინი, ივანე ბოგდანი და ოლეა კორობუტი, აგრეთვე ესტონეთის მრავალგზის ჩემპიონი ჰეინო სისასკი: ისინი ანთებენ ჩირაღდნებს და ავტომანქანებით მიემართებიან ვაგზლებისაკენ, საიდანაც ცეცხლს მატარებლით მიიტანენ მოსკოვის ოლიმპიადის თანამგზავრ ქალაქებში.

შემდეგ ოლიმპიურ ცეცხლს ანთებენ სპეციალურ თასში, რომელიც ფრთხილად შეაქვთ მოსკოვის საბჭოს შენობაში. ცაში მიფრინავს ნაირფერი ვიმპელებით დამშვენებული ათასობით პაერბუშტი.

19 ივლისს ესტაფეტა ოლიმპიურ ცეცხლს მიიტანს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე.

მ. ივანოვი.
ვ. იტკინი.
ვ. ტრუშკოვი.
საკადესის სპეც. კორ.

# ეპს. ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვში დაბრუნდა

18 ივლისს მოსკოვის XXII ოლიმპიური ასპარეზობის გახსნის ცერემონიაზე მონაწილეობისათვის მოსკოვს დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

(საკადესი).

# საპატიო სტუმარი

18 ივლისს მოსკოვში ხანმოკლე მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი.

ტ. ჟივკოვი, როგორც საპატიო სტუმარი, დაესწრება ოლიმპიადა 80-ის გახსნას. (საკადესი).

# საბჭოთა კავშირი ჩამოვიდა ბ. ჭუსაკი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 18 ივლისს საბჭოთა კავშირში დასასვენებლად ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჭუსაკი. (საკადესი).

# „ბრეზნევ-10“ ავტონომიური რეჟიმით მიფრინავს

ფრენის მართვის ცენტრი. 18 ივლისი. (საკადესი). დღეს მოსკოვის დროით პირველ საათსა და წუთზე ერთობლივი ფრენის პროგრამის დამთავრების შემდეგ „ტმასტონ სატრანსპორტო ხომალდი „პროგრეს-10“ გამოეყო „სალუტ-6“-„სოიუზ-36“ ორბიტულ კომპლექსს.

სატვირთო ხომალდის ფრენამ კომპლექსის შემადგენლობაში 17 დღეს გასტანა. ამ ხნის მანძილზე ეს ხომალდი ლეონიდ პოპოვმა და ვალერი რიუმინმა განტვირთეს „პროგრეს-10“ ხომალდი, ავსეს „სალუტ-6“ სადგურის ამრტიზებული მოწყობილობა, ცალკეული ბლოკები და ხელსაწყოები და გადაიტანეს ისინი სატრანსპორტო ხომალდის სატვირთო ნაკვეთურში. განხორციელდა ნებობით სადგურის გაერთიანება ამავე ძრავის დანადგარის კმაგაწყობა.

სატვირთო ხომალდის ძრავის დანადგარის საშუალებით მოეწყო კომპლექსის მოძრაობის ტრაექტორიების კორექცია.

ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი 101-ე დღეა, რაც დაფრინავენ. ორბიტული კომპლექსის ეკიპაჟი დღეს განაგრძობს დაფრინვის ზედაპირის ვიზუალურ დაკვირვებებსა და ფოტოგადაღებების პროგრამის შესრულებას.

# რთველი ახლოვდება

## რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს საქართველოს ვენახები

### საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# როცა მომთხოვნელობა მოისუსტებს

**კალენდარს** კიდევ ერთი ფურცელი მოაკლდა. საქართველოს მევენახეთათვის კიდევ უფრო მოახლოვდა მათი მუშაობის პასუხსაგები პერიოდი — რთველი. და თუმცა რთველი ამჯერად გვაინდება, მაგრამ უკვე დღეს მიწათმოქმედნი მნიშვნელოვან გამოცდას აბარებენ. რესპუბლიკის ვენახების მშრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, პირობა დადეს, რომ არა მარტო წარმატებით გაანაღდებენ ყურძნის დამზადების წლიურ გეგმას, არამედ სამშობლოს მისცემენ 770 ათას ტონა ყურძენს, რითაც შეასრულებენ ხუთწლედის დავალებას.

ამ დღეებში რესპუბლიკაში მოეწყო ვენახების დათვალიერება. დათვალიერება გაიმართა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკების, სოფლის მეურნეობის დარგის მეცნიერების, სპეციალისტების მონაწილეობით. დათვალიერებაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე ესტუმრა თერჯოლის რაიონს. მან დაათვალიერა რუფოთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის, სოფლების ეწრის, ალისუბნის, საზანოს კოლმეურნეობების, სხვა მეურნეობების ზვრები, მოიწონა თერჯოლელ მევენახეთა შრომა, რომლებმაც შეჯიბრება გააჩაღეს მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევისათვის, იმისათვის, რომ საფლმწიფოს მიჰყიდონ ცოლიკაურისა და ციცქას ჯიშების 24 ათასი ტონა ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 21 ათასი ტონის ნაცვლად. ამავე დროს აღნიშნა დარგის განვითარებაში არსებული ნაკლოვანებანი. ეს უპირველეს ყოვლისა ვენახების სიმეჩხერეა, რომლის აღმოფხვრაც მნიშვნელოვნად გაადიდებს მოსავლიანობას.

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო აქტიური ბრძოლა ნედლეულის ხარისხისათვის, უმაღლესი ხარისხის საბოლოო პროდუქციის მიღებისათვის.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ დათვალიერა აგრეთვე მდინარე ყვირილის ხიდის, შამპანური კომბინატის — შამპანური ღვინოების და კონიაკის მთელი კომპლექსის მშენებლობა. ყურძნის გადამუშავების ამ ობიექტის პირველი რიგი მწყობრში ჩადგება უკვე მიმდინარე სეზონში — რთველის დაწყებისათვის.

გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს ნორჩმა ლენინელებმა პიონერულ ქალაქ „საპიონელოში“. აქ თერჯოლის რაიონის მშრომელების შვილებთან ერთად ზაფხულს ატარებენ ყაზახეთის ცელინოგრადის ოლქის ატბასარის რაიონის მხვნელ-მთესველთა შვილებიც. ამ რაიონის მშრომელები აი უკვე ორი წელია ეჯიბრებიან თერჯოლელებს.

რესპუბლიკის ვენახების დათვალიერებაში მონაწილეობდნენ ამხანაგები პ. ვ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, ჯ. ი. პატიაშვილი, ს. ე. ხაბეიშვილი, ე. კ. შარტავა.

(საქინფორმი).

# ბოლო

**ბოლოს** ხანს ამბროლაურისა და გორის რაიონებში მნიშვნელოვნად გაუარესდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის მდგომარეობა, და იგი ოდნავადაც არ შეესაბამება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის მოთხოვნებს. მაგალითად, შარშან 1976 წელთან შედარებით ამბროლაურის რაიონში შემცირდა რძისა და კვერცხის წარმოება, ხოლო გორის რაიონში — ხორცისა და რძის დამზადება. ამბროლაურის რაიონში მეცხოველეობის მაჩვენებლები 1972 წელთან შედარებითაც კი გაუარესდა, კერძოდ, რძის წარმოების მსრივ — ოთხი პროცენტით, ხორცის დამზადების მხრივ — 19 პროცენტით, საფურაქე ძროხის საშუალო წველადობა შემცირდა 95 კილოგრამით, ხბორების მოგება (100 ფურზე) 23, გოჭისა — 77 სული.

ხორცის წარმოების მეათე ხუთწლედის ოთხი წლის გეგმა ამბროლაურის რაიონში შესრულებულია სულ 80 პროცენტით, რძისა — 82 პროცენტით, კვერცხისა — 60 პროცენტით; გორის რაიონში — რძის წარმოებისა — 98 პროცენტით, კვერცხისა — 91 პროცენტით.

კიდევ უფრო სერიოზული ჩამორჩენაა დაშვებული ამ რაიონებში მიმდინარე წელს. ხუთი თვეში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით ამბროლაურის რაიონში რძის წარმოება შემცირდა 4 პროცენტით, ხორცისა — 11 პროცენტით, რძის სახელმწიფო შესყიდვა — 8 პროცენტით, კვერცხისა 16 პროცენტით. მიღებულია ნაკლები ხბო და გოჭი. იკლო მეკვერცხეობამ, შემცირდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა.

გორის რაიონში ამავე პერიოდში ხორცის წარმოება შემცირდა ერთი პროცენტით, რძისა — 12 პროცენტით; ხორცის სახელმწიფო შესყიდვა — 9 პროცენტით, რძისა — 3 პროცენტით, საშუალო წველადობა — 102 კილოგრამით; იკლო აგრეთვე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობამ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწყობილმა შემოწმებამ ცხადყო, რომ ამ რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები არ სწვდებიან მეცხოველეობის საქმის ეითარებას, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოები და სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტები ფაქტობრივად არ აკონტროლებენ საზოგადოებრივი დოვლათის დაცვა-შენახვას, რის შედეგადაც არის პირუტყვისა და მეცხოველეობის პროდუქტების დატაცების შემთხვევები. ამას ხელს უწყობს ის, რომ ბევრ რაიონში ხელმშეფბულია ზოოტექნიკური და საბუღალტრო აღრიცხვა. ამბროლაურისა და გორის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრივ უკონტროლობას და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება-დამზადების პრობლემების გადაჭრისადმი არაკვალიფიციურ მიდგომას შედეგად ის მოჰყვა, რომ ცალკეულ რაიონებში სულ უფრო გახშირდა წამატებები, თვალსაჩვენა, საზოგადოებრივი საკუთრების განიავება. მაგალითად, ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭელაღიელის კოლმეურნეობაში (კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე — ამხ. ნ. ეხვაძე) მიმდინარე წლის ხუთი თვის მანძილზე შემოსავალში გატარებულია სულ 62 გოჭი, ხოლო 18 ივლისისათვის შემოწმებით გამოვლინდა შემოსავალში გაუტარებელი 99 გოჭი და 50 ღორის დანაკლისი. შემოწმებამ აგრეთვე გამოავლინა 306 კილოგრამი ღორის ხორცისა და 716 კილოგრამი ძროხის ხორცის დანაკლისი სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარებისას, 24 ტონა კომბინირებული საკვების უკანონო ჩამოწერა, წმატებები და სხვა მაქინაციები პირუტყვის სულადობის მოვლა-პატრონობისა და რძის წარმოების გეგმების შესრულებულად ჩვენების მიზნით, აგრეთვე სხვა დარღვევები. სახელმწიფო დისციპლინისა და კანონიერების დარღვევის ანალოგიური და სხვა ფაქტები გამოვლინდა ამბროლაურის რაიონის თითქმის ყველა შემოწმებულ მეურნეობაში.

კანონიერებისა და სახელმწიფო დისციპლინის ყოველად უხეში დარღვევებია გამოვლენილი გორის რაიონის მეურნეობებში. მაგალითად, სოფელ ქვახვრელის კოლმეურნეობაში (კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე — ამხ. კ. სადაგაშვილი) გამოვლინდა 225 შემოსავალში გაუტარებელი გოჭი, ხოლო კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის თხოვნით მოწყობილი ხელახალი შემოწმების დროს — 228 გადამალული ღორი, აქედან 130 ნეზი. მარტო შემოწმებულ ოთხ კოლმეურნეობაში გამოვლენილია 476 შემოსავალში გაუტარებელი გოჭი, მაშინ როდესაც რაიონში ღორის სულადობა შარშანდელთან შედარებით ისევდაც 1424 სულით არის შემცირებული. ბერბუკის საბჭოთა მეურნეობაში გამოვლინდა 34 აღრიცხვაი ძროხა, სოფელ ფლავის კოლმეურნეობაში — 28, სოფელ მეჯვრისხევის კოლმეურნეობაში — 3 სული. თითქმის ყველა შემოწმებულ მეურნეობაში სწორად არ ხდებოდა ხბორებისათვის განკუთვნილი რძისა და კომბინირებული საკვების ხარჯვის ჩამოწერა. მაგალითად, სოფელ ფლავის კოლმეურნეობაში რძე ჩამოიწერა 45 ხბოსათვის, მაშინ როდესაც სინამდვილეში 33 ხბო ჰყავდათ. ამავე კოლმეურნეობაში 1980 წლის 12 თებერვლის საწყობში გამოწერეს 7,6 ტონა კომბინირებული საკვები მერძეეობის ფერმისათვის და იგი დოკუმენტებში დახარჯულად ჩაწერეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იმსჯელა ამბროლაურისა და გორის რაიონებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის მაჩვენებლების სერიოზული გაუარესების მიზეზების შესახებ. ცენტრალური კომიტეტის აზრით, გამოვლენილი ფაქტები მოწმობს, რომ პარტიის რაიკომებმა და რაიაღმასკომებმა შეასუსტეს მომთხოვნელობა, ხელმოშვებულია ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა შემოწმებულ მეურნეობებში. საქართველოს კომპარტიის ამბროლაურისა და გორის რაიკომების, ამბროლაურისა და გორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმისა და 1980 წლის XX პლენუმის იმ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის, რომლებიც მეცხოველეობის განვითარებას ეხება, ყოველთვის არადამაკმაყოფილებლად არის მიჩნეული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომპარტიის ამბროლაურისა და გორის რაიკომებს და ამბროლაურისა და გორის სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოებს აღმასკომებს ამხილეს ამ ფაქტებზე ფიქრი, ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა აღიკვეთოს არსებული ნაკლოვანებანი, უთუოდ შესრულდეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების 1980 წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმები. ამ მიზნით მათ წინადადება მიეცათ შეიმუშაონ და რაიკომის ბიუროსა და რაიაღმასკომის გაერთიანებულ სხდომაზე დაამტკიცონ ორგანიზატორულ-პოლიტიკური და სამეურნეო ღონისძიებების გეგმები თითოეული მეურნეობის მიხედვით, უზრუნველყონ მკაცრი კონტროლი ამ გეგმების შესრულებისადმი.

საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. ა. შარაბიძის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი, რომელმაც სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები დაუშვა საზოგადოებრივი მეცხოველეობის ხელმძღვანელობაში, განხილულ უნდა იქნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე, როცა იმსჯელებენ პარტიის ამბროლაურის რაიკომის მუშაობის სტილის კომპლექსური შემოწმების მასალების შესახებ.

იმის გამო, რომ არ განახორციელა ქმედითი ღონისძიებანი მეცხოველეობაში საქმის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების თავიდან აცილებისათვის, შეწყნარებით ეკიდებოდა საზოგადოებრივ მეცხოველეობაში სახელმწიფო დისციპლინისა და კანონიერების უხეშ დარღვევებს, საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის ბიუროო და პირადად რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვ. აბრამიშვილი მკაცრად არიან გაფრთხილებულნი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ მეცხოველეობაში სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევებისათვის, საზოგადოებრივი საკუთრების დანიავებისათვის ვ ი ს სოფელ ჭელიაღელის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ი. ენუქიძე სკკპ რიგებიდან გასარიცხი და სამუშაოდან მოსახსნელია, მაგრამ ცენტრალურმა კომიტეტმა ამასთან გაითვალისწინა, რომ მან აღიარა დაშვებული შეცდომები, პირობა დადო, რომ მათ ოთხმოცი წლის დამლევამდე გამოასწორებს, აგრეთვე მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ იგი დიდი ხანი არ არის, რაც ამ კოლმეურნეობაში მუშაობს, და გადაწყვეტა აკმაროს სასტიკი საყვედურის გამოცხადება საარიცხვო ბარათში შეტანით.

სახელმწიფო დისციპლინის უარესად უხეში დარღვევების, წამატებებისა და ანგარიშგების ხელმოშვებისათვის გორის რაიონის სოფელ ქვახვრელის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ს. დაგაშვილი გარიცხულია სკკპ რიგებიდან. კოლმეურნეობის საერთო კრებას რჩევა მიეცა გაათავისუფლოს იგი დაკავებული თანამდებობიდან.

საქართველოს კომპარტიის ამბროლაურისა და გორის რაიკომებს დაევალათ განიხილონ იმ მეურნეობათა ხელმძღვანელების პერსონალური პასუხისგებლობის საკითხი, რომლებმაც დაუშვეს სახელმწიფო დისციპლინის დარღვევები და ჩამორჩენა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და დამზადებაში.

საქართველოს სსრ პროკურატურას დაევალა გამოძიოს ამბროლაურისა და გორის რაიონებში სახელმწიფო დისციპლინისა და კანონიერების დარღვევები.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადების საინისტროებს, „საქსოფლტექნიკას“ წინადადება მიეცათ ქმედითი დახმარება გაუწიონ ამბროლაურისა და გორის რაიონებს მეცხოველეობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების ლიკვიდაციის კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებასა და პრაქტიკულ განხორციელებაში. (საქინფორმი).

# ბოლოს

**18 ივლისს** სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის ყრილობათა სასახლეში დარბაზობა გამართა მოსკოვის XXII ოლიმპიადის ასპარეზობის გახსნის გამო. დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები, საერთაშორისო სპორტული ფედერაციების პრეზიდენტები და გენერალური მდივნები, „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისა და 1984 წლის ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიურ ასპარეზობათა საორგანიზაციო კომიტეტების ხელმძღვანელები, სპორტული მოძრაობის სხვა მოღვაწენი, მოსკოვის ოლიმპიადის მონაწილე სპორტსმენები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი გულითადად მიესალმა დამსწრეთ სსრ კავშირის მთავრობისა და პირადად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელით.

ჩვენს ქვეყანაში, თქვა ა. ნ. კოსიგინმა, ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ უზრუნველყოთ ოლიმპიური ქარტიის წესებისა და დებულებების, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მოთხოვნების დაცვა, რათა საქმით დავამტკიცოთ, რომ ფართოდ ვუჭერთ მხარს საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობას.

თავის გამოსვლაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლორდმა კილანინმა მადლობა გადაიხადა ყოველივე იმის გამო, რაც გაკეთდა სპორტსმენებისათვის, იმისათვის, რომ ოლიმპიურმა ასპარეზობამ წარმატებით ჩაიაროს.

დარბაზობამ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკადესი).

**პარტიული ცხოვრება:**
**ახალი კომბინატები — პრაქტიკული სამუშაოზე**

# რკინიგზელთა პარტიული შტაბები

**ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისისა და სამტრედიის კვანძების პირველ პარტიულ კონფერენციებზე**

**მეტად** დიდია, განუსაზღვრელია რკინიგზის ტრანსპორტის მნიშვნელობა და როლი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში. ამიტომაც არის, რომ პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ამ სახეობის ტრანსპორტის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს, სახავენ ღონისძიებებს რკინიგზელებთან პოლიტიკური, ორგანიზატორული და იდეურ-იმრწრდელობითი მუშაობის სრულყოფისათვის, კომუნისტთა აქტიურობის ამაღლებისა და ინიციატივის განვითარებისათვის.

სწორედ ამ ზრუნვის ერთ-ერთი დადასტურებაა გადაწყვეტილება რკინიგზის მსხვილ კვანძებზე პარტიული კომიტეტების შექმნის თაობაზე. იგი მიიღეს „რკინიგზის ტრანსპორტზე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად.

## თბილისი

**საქართველოს** დედაქალაქის ლენინის რაიონი... მის ტერიტორიაზე განლაგებულია თბილისის რკინიგზის კვანძის საწარმოთა უმრავლესობა... პარტიის რაიკომმა ბოლო ხანს შესამჩნევად გააძლიერა კონტროლი როგორც რკინიგზის საწარმოთა, ისე, რაიონის სამრეწველო ქვედანაყოფების პარტორგანიზაციათა საქმიანობისადმი, რათა დაჩქარებულიყო ვაგონების ბრუნვა, დროულად დაეტვირთათ, გადმოეტვირთათ და გაეგზავნათ სატვირთო მოძრავი შემადგენლობანი. მთავარი ყურადღება დაეთმო კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლებას, პირველად პარტორგანიზაციების საქმიანობის გააქტიურებას, კადრების სწორ შერჩევა-განაწილებას. ამან მნიშვნელოვნად გაუმჯობესა კვანძის კოლექტივის საერთო საქმიანობა, შემცირდა რკინიგზაზე მუშაკთა დენადობა.

მაგრამ, როგორც რკინიგზის თბილისის კვანძის პირველ პარტიულ კონფერენციაზე ითქვა, ნაკლოვანებები და ხარვეზები მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია. პარტიის ლენინის რაიკომის პირველი მდივნის გ. ანჩაბაძის მოხსენებასა და კონფერენციის დელეგატების გამოსვლებში აღინიშნა, რომ ჩვენი პარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების პერიოდში დასახული მიჯნების მიღწევა მხოლოდ კარგად ორგანიზებული დამკვირვებელური შრომით, მაღალი საწარმოო და საშემსრულებლო დისციპლინით არის შესაძლებელი. სწორედ ამაში დიდია კვანძის პარტიული კომიტეტის როლი, რომელმაც კოორდინაცია უნდა გაუწიოს პირველადი პარტიული ორგანოების მოქმედებას, დარაზმოს ისინი დისციპლინის განმტკიცებისათვის, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგემ ბ. ბარსუკოვმა.

კონფერენციამ განხილულ საკითხზე მიიღო რეზოლუცია და აირჩია კვანძის პარტიული კომიტეტი.

**გაიმართა** ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის კვანძის პარტიული კომიტეტის პირველი სხდომა, რომელმაც პარტიული კომიტეტის მდივნად აირჩია **ი. ჯიშკარიანი,** მოადგილეებად — **ვ. ჩუბინიძე** და **გ. ბერიძე.**

**ბ. ვასაძე.**

## სამტრედია

**ოცდაოთხმა** პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ, რომლებშიც ათასამდე კომუნისტია გაერთიანებული, კვანძის პირველ პარტიულ კონფერენციაზე წარმოგზავნა წარმომების მოწინავე მუშები, პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები, ინჟინრები, ექიმები, პედაგოგები, კულტურის, ვაჭრობისა და სხვა დარგის წარმომადგენლები, ის კომუნისტები, რომლებიც თავიანთ შემოქმედებითს ნიჭსა და უნარს იხმარენ რკინიგზის ტრანსპორტის — სახალხო მეურნეობის ამ ერთ-ერთი უაღრესად რთული და პასუხსაგები დარგის განვითარების საქმეს. დელეგატთა შორის არიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, საპატიო რკინიგზელები, ბევრ მათგანს მკერდს უმშვენებს მთავრობის სპატიო ჯილდოები.

კონფერენციამ მოისმინა საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივნის თ. იმედაძის მოხსენება „რკინიგზის ტრანსპორტზე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის 13 მარტის დადგენილებიდან გამომდინარე ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის საკვანძო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ რკინიგზის სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს უფროსი ბ. კოპალეიშვილი, სავაგონო დეპოს ზეინკალი ნ. ყუბანეიშვილი, სალიანდაგო დისტანციის უფროსი ა. თოდუა, რკინიგზის სამტრედიის განყოფილების პროფრაიკომის თავმჯდომარე ა. ტორონჯაძე, მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსი ო. თაბუკაშვილი, სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციის უფროსი ა. გოგოლაძე, კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის დისტანციის პარტბიუროს მდივანი ე. სოსელია, ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების უფროსი რ. ვაშაკიძე.

კონფერენციაზე განიხილეს პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელი კადრების აღზრდისა და მომზადების, პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესების, სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის გაძლიერების, შრომისა და მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების უკეთ მოწყობისა და სხვა საკითხები, რომელთა გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს კვანძის პარტიულმა კომიტეტმა. იგი სათავეში უნდა ჩაუდგეს მთელ კოლექტივში შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლას, რაც მატარებელთა შეუფერხებელი და უსაფრთხო მოძრაობის მთავარი პირობაა.

კონფერენციამ განხილულ საკითხზე მიიღო რეზოლუცია და აირჩია საკვანძო პარტიული კომიტეტი 11 წევრის შემადგენლობით.

**გაიმართა** ახალარჩეული პარტიული კომიტეტის პირველი სხდომა, რომელმაც მდივნად აირჩია **დ. რამიშვილი,** მოადგილეებად — **კ. მეგენეიშვილი,** და **გ. ჩაჩუა.**

**გ. ნიკოლეიშვილი.**

**470 ათასი ტონა ჩაისათვის**

# რეკორდსმენია მანქანა

**საქართველოს** სსრ ფინანსთა სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო-სასწავლო გაერთიანების თანამშრომელმა, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ვალერიან ადამიამ, ჩაის ფოთლის წარმოებაში მობილური ტექნიკის უფრო ეფექტიანად გამოყენების მიზნით, მეჩაიეობის ისტორიაში პირველად ზუგდიდის რაიონის რიყის კოლმეურნეობაში მოაწყო მანქანის ორცვლიანი სადღეღამისო მუშაობა. ამ სიახლის დასანერგავად ერთ ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოს“ საკრეფად მიუჩინეს 18 ჰექტარი ჩაის პლანტაცია (კოლმეურნეობაში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 8,6 ჰექტარს უდრის). ამ მანქანაზე მექანიზატორებად როინ და ნუგზარ გოგიები მუშაობენ.

წინასწარი მონაცემებით, სასურველი შედეგებია მიღებული. ერთ დღე-ღამეში, ორ ცვლაში 6 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. ივნისის ბოლოსათვის კოლმეურნეობაში მექანიზებული წესით მოიკრიფა 204 ტონა. თითოეული ჩაის საკრეფი მანქანით საშუალოდ მოკრეფილია 18,7 ტონა, ხოლო ორ ცვლად მომუშავე საცდელი მანქანით — 67 ტონა.

ორ ცვლად მუშაობა სხვა რამითაც არის საინტერესო: თუ ადრე მანქანებით მოკრეფილი ფოთოლი მეორე დღეს „პიკის“ პერიოდს ემთხვეოდა, ახლა ასე არ არის. ორცვლიანი მუშაობა ღამით გრძელდება, ეს კი 12 საათით ამცირებს „პიკის“ პერიოდს, უკეთესი ხარისხის ჩაის ფოთოლი იკრიფება, ჩაის ფაბრიკები რიტმულად იღებს ნედლეულს. ამით მაღლდება კომპლექსური მექანიზაციის ეფექტიანობა და დარგის რენტაბელობის დონე.

**ვ. ადამია.**

**სურათზე:** მარცხნიდან — რიყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. აგუმავა ესაუბრება მექანიზატორებს როინ და ნუგზარ გოგიებს.

**კ. უუფუნიას ფოტო.**

# წყალი ვხარჯოთ ეკონომიურად!

**მიმდინარე** წლის 7 თებერვალს „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ვლ. მდივნის სტატია, რომელშიც განხილული იყო თბილისის წყალმომარაგებაში არსებული ხარვეზები და გამოთქმული იყო მთელი რიგი მოსაზრებანი ამ დარგში მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ქალაქის წყალმომარაგების საკითხი მეტად აქტუალურია და საზოგადოების სამსჯავროზე მისმა გამოტანამ იგი დედაქალაქის პარტიული და სამეურნეო ორგანიზების ყურადღების ცენტრში მოაქცია.

ამ დღეებში გაიმართა ქალაქის საბინაო-კომუნალური სამსახურების აქტივის კრება, რომელმაც განიხილა თბილისის წყალმომარაგების საკითხი. კრებაზე მოხსენება გააკეთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. სარალიძემ.

როგორც სპეციალური კომისიის მიერ შესწავლილმა მასალებმა გვიჩვენა, თქვა ბ. სარალიძემ, ასეთი ვითარება სამი ძირითადი მიზეზით არის გამოწვეული. პირველი ის, რომ მოსახლეობა და წარმოება-დაწესებულებანი რაციონალურად არ ხარჯავენ სასმელ წყალს; მეორე, წყალსადენების სისტემების საექსპლოატაციო სამსახურში წლების მანძილზე არსებობს მთელი რიგი ნაკლოვანებანი; და მესამე, თბილისში ქალაქმშენებლობის სწრაფ ტემპს მხარს ვერ უსწორებს წყალმომარაგების ობიექტების მშენებლობა.

ხშირად ზოგი მოქალაქე და ზოგჯერ საწარმოც კი სასმელ წყალს სარწყავად და მაცივრად იყენებს. გარდა ამისა ქალაქში დღემდე არ გამოიყენება ბრუნვითი წყალი, რაც საშუალებას მისცემდა სამრეწველო საწარმოს დაეზოგათ სასმელი და უფრო ფართოდ ეხარგებლათ ტექნიკური წყლით. შემოწმებით დადგინდა, რომ დედაქალაქის სინამდვილეში სასმელი წყლის დანაკარგების 40 პროცენტი მოდის საცხოვრებელ სახლებში წყალსადენის შიდასისტემების, სანტექნიკური ქვანძებისა და წყალმხარჯი არმატურების მოუწესრიგებლობაზე. ხშირად მოსახლეობის სიგნალებზე არ რეაგირებდნენ.

საბინაო სამართველო, რომელსაც არაერთგზის მიეთითა ამის თაობაზე, ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის მოთხოვნების იმის გამო, რომ წლების მანძილზე მისი საქვეშ ყოფილ საექსპლოატაციო კანტორები უზრუნველყოფილი არ იყო საჭირო სათადარიგო სანტექნიკური ნაწილებით. თანაც სამმართველოს არ ჰყოფნიდა კვალიფიციური მუშები. მცირე გამომუშავება აძნელებდა ზეინკალ-სანტექნიკოსთა სამუშაო ადგილზე დამკვიდრებას. მომავალში სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს ზეინკალ-სანტექნიკოსთა ბრიგადები ჯაჭვური გამომუშავების წესზე გადაყვანის. ქალაქის საბინაო მეურნეობის სამმართველოში უკვე შეიქმნა სპეციალიზებული საამქრო, რომელიც ზურუნველყოფს სანტექნიკური ნაწილებისა და კვანძების როგორც შეკეთებას, ასევე დამზადებასაც. ინერგება პროფილაქტიკური სამუშაოთა გეგმაზომიერი გრაფიკი, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთკონტროლს მოსახლეობასა და ზეინკალ-სანტექნიკოსთა შორის და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მომსახურებას.

ქალაქის წყალმომარაგების საქმეში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია წყალსადენი მეურნეობის საექსპლოატაციო სამსახურში არსებული ხარვეზები. წყალსადენის მეურნეობას ევალება წყალმომარაგების სათავე ნაგებობების, სატუმბო სადგურებისა და მაგისტრალური გამანაწილებელი ქსელების ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფა, მაგრამ საინფორმაციო მოედნები და აუზები ავდარში ლამით ივსება. აუცილებელია დედაქალაქის წყალმომარაგების მართვა წარმოებდეს უკანასკნელი ტექნიკური მიღწევების გამოყენებით. ეს წყალსადენის ექსპლოატაციას უფრო საიმედოს გახდიდა, ამასთან საშუალება შეიქმნებოდა დაზიანებნი რაიონებისა და ხარისხის ოპერატიული განსაზღვრისათვის. მაგრამ ახლა ავტომატურ მართვაზე ლაპარაკი ნაადრევია, ვინაიდან სარეზერვო აგრეგატებისა და საზომი ხელსაწყოების მოწოდების შეყოვნების გამო ზოგიერთი სატუმბო სადგურების რეკონსტრუქცია შეჩერებულია, ხოლო არსებული ქუჩისა და შიგაკვარტალური ქსელის საერთო სიგრძის მეოთხედი ამორტიზებულია და შეცვლას მოითხოვს.

უფრო მეტიც, ქალაქის წყალსადენის მაგისტრალური ქსელი სრულად არ არის მოწესრიგებული, ამიტომ ზოგჯერ ცენტრალური მკვებავი მილსადენის დაზიანებისას წყლის მიწოდება შეუწყდება ხოლმე მთელ რიგ მიკრორაიონებს. ასეთი დაზიანებები კი ხშირია. როგორც გამოირკვა, ყოველივე ამის მიზეზი ის არის, რომ დამაკმაყოფილებად არ სრულდება მიწის-ქვეშა კომუნიკაციებთან დაკავშირებული სამონტაჟო-სამშენებლო სამუშაოები. ამ მხრივ ჩამორჩენილია კაპიტალური მშენებლობის და „თბილწყალკანალიზაციის“ სამმართველოები.

თბილისის წყალმომარაგების პრობლემის გამწვავება დაკავშირებულია აგრეთვე ბეთანმშენებლობის ტემპის დაჩქარებასთან. საქმე ის არის, რომ ჯერჯერობით ვერ პროექტდება წყალმომარაგების ობიექტები. გვიანდება ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა, რაც შეუწყარებელია. თბილისის კომუნალური გაერთიანება, რომელსაც აბარია თბილისის მოსახლეობის მომსახურების ისეთი პასუხსაგები უბანი, რომელშიც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფის საქმეს, სათანადო კოორდინაციას ვერ უწევს მასში გაერთიანებულ სამსახურებს.

აქტიზე ყურადღება გამახვილებული იყო ვინნალჰესის კომპლექსის მშენებლობაზე. აღსანიშნავია, რომ 1972 წლიდან დღემდე ოთხჯერ მოხდა ამ კომპლექსის ჩაბარების ვადის კორექტირება, მაგრამ, ვინაიდან 1960 წლიდან თბილისის წყალსადენი ქსელების გაფართოება და მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის მშენებლობასთან, ბუნებრივია, ჩაბარების ვადების გადატანამ გარკვეული დაღი დაჩნია თბილისის წყლით მომარაგებას. ამჟამად საბოლოოდ დადგენილია, რომ ვინნალის ჰიდროკომპლექსი 1984 წლისათვის ჩადგება მწყობრში და წყალმომარაგებაც საგრძნობლად გაუმჯობესდება.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ხომერიკმა, № 94 საექსპლოატაციო კანტორის უფროსმა შ. წაქაძემ, 26 კომისრის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ჯანუაშვილმა, კომუნალ უ რ ი ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ის უფროსმა ვ. ტურძელაძემ, „თბილისწყალკანალიზაციის“ საწარმოს უფროსმა ვ. მუმლაძემ, ამავე საწარმოს შემფასებელმა ი. იაკობაშვილმა, ქალაქის საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსმა გ. ჭანტურიამ, ქალაქის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ჯანჯღავამ და სხვებმა.

დასასრულ კრებამ მიიღო და დაამტკიცა თბილისის წყალსადენის ექსპლოატაციისა და წყალმომარაგების გაუმჯობესების ორგანიზაციულ-ტექნიკური 1980 წლის ღონისძიებათა გეგმა.

**მ. კუპრეიშვილი.**

**ოთხმოციანი წლების თავმჯდომარე**

# სოფელი კაცითაო...

**გზა** მდინარეს მისდევს. მდინარე საოცრად კამკამა და მშვიდია, ზეცასავით გამჭვირვალე და მიმზიდველი. მაგრამ ავდრობისა და ლანქერობის დროს ეს მშვიდად მოღუღუნე მდინარე ისე გაბელდება, ვეებერთელა ლოდებს ბურთივით მოათამაშებს. თანაც მხრებს ისე გაშლის და აგუგუნდება, მეორე ნაპირზე ხმას ვერ გადაწვდენთ.

მდინარეს ჩაქვის წყალს ეძახიან, ხეობასაც ჩაქვის წყლის ხეობა ჰქვია. იგი ბარში მთავრდება და სადღაც შორს, თოვლიან მთებში იღებს სათავეს. მდინარის მარჯვნივ და მარცხნივ გორაკები ერთმანეთს მიხუტებიან, თითქოს ერთმანეთს ებჯენებიანო. გორაკებზე სოფლია შეფენილი. თეთრად მოჭიქათე ქვიტკირის ოდა-სახლები ამაყად გადმომდგარან მთებიდან. გამრჯე მარჯვენას იმ ციცაბლურს მიბჯენილ მწვერვალზეც ბაღი გაუშენებია და კერა გაუჩაღებია. გზა კი თასმასავით დაგრეხილა და დაგრძელებული. კაცს წინათ უჭირდა საცალფეხო ბილიკებით ასვლა, თორემ ახლა განიერი გზაც არის და ოჯახს ძნელად ნახავთ, საკუთარი ავტომანქანა რომ არ ჰყავდეს. ყოველდღე სოფლის უბნებს ავტობუსებიც რამდენჯერმე ჩამოივლიან.

ეს სოფელი ქობულეთის რაიონშია და მას ხალას ეძახიან. სოფელი მთებითაა შემოჯარული, ამიტომაც არის, რომ აქ ნახეკარ-ჰექტარიან მინდორსაც კი ვერ ნახავთ. ხალელს სახნავ-სათბინი არასდროს ჰქონია, მაგრამ ბედს არ დამდურებია, არც მთებისთვის შეუხედავს მტრულად. მთები მას შეშით ამარაგებს და ციცი ქარებისაგან იცავს. სამაგიეროდ ეს გორაკები და ფერდობები ისეთი ბარაქიანია, გლეხაკეს სიუხვით ავსებს. საითაც არ გაიხედავთ, ყველგან ციტრუსის ბაღები, ჩაის პლანტაციები და ხეხილის ხეივნები მოჩანს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ადრე ფილით თუ დაიგულებთ, თორემ შემდეგ საქმე, ვინ იცის, საით გაუძახებს: რვა საათიც არ იყო, სოფლის ცენტრში რომ მივედით. სოფლის ცენტრი პატარა დაბას ჰგავს — კოლმეურნეობისა და სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციული შენობები, საექმო უბანი, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, ხილის შემფუთავი ქარხანა. მდინარის პირას შენდება კოლმეურნეობის კლუბ-კინტორა. იქვე გარაჟი. გარაჟის კარებთან კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზურაბ ვასაძე ირგვლივ შემოკრებილთ რაღაც განკარგულებებს აძლევდა. გარაჟში ძრავები გუგუნებდა. ალაყაფიდან უკვე გამოდიოდა ავტომანქანები და ტრაქტორები.

ზ. ვასაძე მასპინძლის გულისხმიერებით შემოგვეგება. — ავტომანქანებს ჩაის ფოთლის ჩასაბარებლად ვგზავნი, გვითხრა და უმალვე გულისტკივილით გადმოგვიღლა: ჩაის ფაბრიკები მოზღვავებული ნედლეულის გადამუშავებას ვერ ასწრებენო.

ტყუილად კი არ უთქვამს ქართველს ოდითგანვე — თუ კაცი გონიერია, სოფელი ღონიერია. ის, ვინც ხალხის ჭირ-ვარამს დაუფიქრებია, გლეხკაცის სიხარული და მწუხარება გულთან ახლოს მიუტანია და უკეთესი მერმისისათვის უბრძოლია, მიზნისთვისაც მიეღწევია. ხალას კოლმეურნეობის ახლანდელ თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ზურაბ ვასაძეს ვინ მოთვლის რამდენი ღამე უთენებია, რამდენი ოფლი დაუღვრია, რამდენი უბრძოლია, რომ მშობლიური სოფელი რაიონში ერთ-ერთი ულამაზესი და ეკონომიკურად ძლიერი ყოფილიყო. ძველთაგანაც მხოლოდ კარგი მოსცდამს ზურაბს და ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთ დროს ზურაბის მამაც წინ უძღოდა ხალელებს და კოლმეურნეობის საკეთილდღეოდ ძალ-ღონეს არ იშურებდა.

ათიოდე წელია, რაც ზურაბი სოფელს სათავეში უდგას. ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა პატარა და ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობების გაერთიანება, ადამიანთა შრომის, ტექნიკის, სავარგულების ახლებურად წარმართვა, ახალი რეზერვების გამონახვა, თავმჯდომარე არ თაკილობდა რჩევა-დარიგება ეკითხა გამოცდილი კაცებისათვის, სხვა თავმჯდომარეებისათვის, ყოველი საკითხი ასჯერ გაეზომ-აეწონა და ისე გადაეწყვიტა. ხალხზე უანგარო ზრუნვამ განსაკუთრებული შედეგი გამოიღო. თანასოფლელები მას მხარში ამოუდგნენ და არც უნანიათ. გაიზარდა შემოსავალი, ამაღლდა ცხოვრების დონე, სოფელს შეემატა სკოლა, ხიდები, კეთილმოწყობა გზები, შენდება კლუბ-კინტორა. სოფელზე ზრუნვით ზურაბი საქვეყნოდ ცნობილი გახდა. მაღლირმა თანასოფლელებმა იგი მეორედ აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ზურაბს მეგობრები ზოგჯერ უსაყვედურებენ, ცოტა დაისვენე, დადექი, თავსაც მიხედე, ასე ენერგია დიდხანს არ გაგყვებიო.

მაგრამ განცხრომის დრო მართლაც არ არის, ტყუილად როდი შეარქვეს მოუსვენარი თავმჯდომარე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიიდან რომ დაბრუნდა, კოლხეთის დაბლობში სათბის სანახავად წავიდა, იქიდან კი სხვაგან. ასე მოითხოვს საქმე.

სუბტროპიკულ ზონაში თითქმის არ არის სათბ-საძოვარი, რაღაც სხვა გზა უნდა გამოინახოს. მე მომწონს ის გზა, რომელსაც ცნობილი თავმჯდომარეები მიხაკო ორაგველიძე და გივი წითლიძე დაადგნენ: ციტრუსის ნაყოფი თივაზე გადაცვალეს. არც ჩვენ ვიტყუოდით ამაზე უარს, თუ ნებას მოგვცემენ.

— გულხელდაკრეფილნი არც ახლა ვართ, წელს უფრო მეტი გვთესია მრავალწლოვანი კოინდარი, რაც დამატებით 100 ტონა მწვანე მასას მოგვცემს, გავადიდეთ ზვრების ფართობი, 100 ტონით მეტ სილოსს დავამზადებთ. შეეუთანხმდი ბოგდანოვკელებს. მათ დავეხმარებით საშემოდგომო მოსავლის აღებაში, სამაგიეროდ თიბვის მოგვცემენ.

— სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც მივაღწიეთ მაღალ მოსავალს, — განაგრძო თავმჯდომარემ, — ასი ტონით გავადიდებთ ჩაის ფოთლის მოსავალს, 120 ტონით — ციტრუსისას.

ფერმაში შევედით. თვალს ახარებს ველის წითელი ჯიშის ნაპატები პირუტყვი. შარშან თითოეულ ფურზე 2.530 კილოგრამი რძე მიიღეს. წელს აპირებენ 2600 კილოგრამამდე გადაყვანას, გაგვაცნეს მოწინავე მწველავები ფატი ლომპარაძე და მერი ვასაძე. მათ შარშან თითოეულ ფურზე 2.800 კილოგრამზე მეტი რძე მიიღეს.

ფერმაში სანიმუშო სისუფთავე დაგვხვდა. დარწყულება, ნაკელის გატანა მექანიზებულია. კომბინირებული საკვები არ გვყოფნისო, თქვეს. დაგეგმილი აქვთ ასაკოვანი პირუტყვი კრასნოდარიდან ჩამოყვანილი ჯიშიანი ძროხებით შეცვალონ.

პლანტაციებსაც გადავხედეთ. ჩაის პლანტაციები ფერდობებზე ისეა შეფენილი, მარადმწვანე სამოსი გეგონებათ. სოფელს მუშაური არ უჭირს, არც დენადობაა. სადაც არ მივედით, ყველგან ახალგაზრდობის სიცარიელეა ოგრძნობა.

— ამის უკეთეს ადგილს სად ნახავენ. ადამიანს საკუთარი კერა უყვარს, შორს მხოლოდ ნადირი გარბისო, თქვა თავმჯდომარემ, ბარიკაზე ვინ აიღებს ხელს. ახმედ გორჯელაძის ოჯახმა. შარშან 17 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა. კოლმეურნეობაში ყველას მეექვსე ბრიგადა უსწრებს.

მერვე ბრიგადის მეორე რგოლის მეჩაიეებმა შარშან ნაბიჯზე 16 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. სოფელში მეჩაიეთა დასახმარებლად ტექნიკა ჯერ არ მოსულა. ხალელები ამით გულს არ იტეხენ, სიუხვით არც ერთ კოლმეურნეობას არ ჩამოუვარდებიან.

— რით შევხვდებით პარტიის XXVI ყრილობას?

— თავმჯდომარემ ოცნებით გადაავლო თვალი მწვანედ მოფენილ სოფელს, არ დარჩება არც ერთი ბრიგადა, რგოლი, ფერმა, მექანიზატორი, რომელიც დიდი გადაჭარბებით არ შეასრულებს გეგმას. დავამთავრებთ ახალი ცხლებ-ცანტორის მშენებლობას, სოფელში არ მოხდება სისხლის სამართლის არც ერთი დანაშაული, მამა-პაპათა შრომითს ტრადიციებს კიდევ უფრო განვადიდებთ.

კარგი პირობაა. ხალელებს არ სჩვეოდათ სიტყვის გატეხვა.

**მ. გოგგილაძე,**
**„კომუნისტის“ საკ. კორ.**





**საქართველო ხუთწლეულის ბოლოს**

**„სრულვყოთ სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის სტრუქტურა. რაციონალურად შევუხამოთ ერთმანეთს სხვადასხვა სახეობის სათბობი; ნავთობთან და გაზთან ერთად უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ქვანახშირი, ფიქალი, ჰიდროენერგია და ატომური ენერგია. ... უმჯობესოთ სათბობის გამოყენება, უფრო სრულად გამოვიყენოთ მეორეული სათბობ-ენერგეტიკული რესურსები...“**

**ახეთი ამოცანა დასახა ჩვენი პარტიის XXV ყრილობამ ენერგეტიკის დარგში მიმდინარე ხუთწლედისათვის.**

**ხუთწლედი სადაცაა დამთავრდება. როგორ ვითარდებოდა ამ წლების მანძილზე საქართველოს ენერგეტიკა და როგორია ჩვენი სახალხო მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის წინაშე დასახული პრობლემები? ამას ეხება საქინფორმის კორესპონდენტის საუბარი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან ვ. ი. ვადაჭკორიასთან.**

# ენერგია

**საქართველოს ენერგეტიკამ** მეცხრე და მეათე ხუთწლედების მანძილზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, — თქვა ვალერიან ივლიანეს ძე ვადაჭკორიამ. — ამოქმედდა ენგურჰესის ოთხი აგრეგატი, ზესტაფონის ელექტროფეროსადგურები და ელექტროგადამცემი ხაზი თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურსა და ზესტაფონს შორის. მნიშვნელოვანი ეტაპი გახდა მაღალმთიანი სვანეთის ელექტრიფიკაციის განხორციელება. ელექტროგადამცემი ხაზების ანძები ყიზლარის საძოვრებზე აღიმართა. — ამაზე შეხედეთ საქართველოს ენერგეტიკული მეურნეობის სქემას. რუკა დასერილია თბო და ჰიდროელექტროსადგურების განლაგების ნიშნებით. კარტოგრაფებს უჭირთ ენერგეტიკოსების დაწევა. საქართველო ახლა ყოველწლიურად გამოიმუშავებს დაახლოებით 13 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას. ელექტროენერგია, როგორც გარდამქმნელი ძალა, ფეხს იკიდებს მეურნეობის ყველა დარგში. ამიტომ მისი მოხმარების ტემპიც ქვეყანაში საშუალოდ წელიწადში 4,3 პროცენტით იზრდება. ჩვენს რესპუბლიკაში ეს მოთხოვნილება 3,8 პროცენტით მატულობს. მაგრამ, ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ჩვენი რესურსები, მათ შორის ენერგეტიკული რესურსებიც, დაუშრეტელი როდია. ამიტომ, როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე, რა ტემპითაც უნდა ვავითარებდეთ ენერგეტიკას, სათბობისა და ენერგიის მომჭირნეობა კვლავაც უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანა იქნება.

**კორესპონდენტი:** რა ღონისძიებები ხორციელდება რესპუბლიკაში ამ ამოცანის გადასაწყვეტად?

**ვ. ვადაჭკორია:** ჩვენს რესპუბლიკაში თბო-ენერგეტიკული რესურსების რაციონალურ და მომჭირნე გამოყენებას, როგორც ენერგეტიკული წარმოების სფეროში, ისე მოხმარების სფეროშიც, დიდი ყურადღება ეთმობა. მეათე ხუთწლედის ოთხ წელიწადში დაზოგილია 661,5 ათასი გიგაკალორია, თბოენერგია, 268,5 მილიონი კილოვატი ელექტროენერგია და 190,4 ათასი ტონა პირობითი სათბობი. საწარმოებში და მშენებლობებზე გაშლილია შეჯიბრება სათბობისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის.

ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ამ მიმართულებით კიდევ დიდი გამოუყენებელი რეზერვები გვაქვს. რა რეზერვებია ეს? ენერგეტიკული წარმოების სფეროში — ეს არის ელექტროენერგიის ხარჯვის შემცირება, რომელიც ჯერჯერობით არსებითს სიდიდეს აღწევს. ხოლო ელექტრომოხმარების სფეროში — პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, მოძველებული მოწყობილობის შეცვლა თანამედროვე მოწყობილობით, რომელიც ნაკლებად ხარჯავს სათბობსა და ენერგიას პროდუქციის ერთეულზე, მეორეული ენერგორესურსების გამოყენება და ა. შ.

უფრო წარმატებით რომ გადაეწყვიტოთ ეს ამოცანები, საჭიროა ლოკალური, კამპანიური ღონისძიებებიდან გადავიდეთ გრძელვადიანი კომპლექსური, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამების განხორციელებაზე. სამწუხაროდ, დღეს გვაქვს ბევრი სამრეწველო საწარმო, სადაც თბოენერგეტიკული რესურსები იხარჯება უყაირათოდ. ეს შეიმჩნევა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, საწვავ მასალათა მრეწველობის სამინისტროების საწარმოებში, „საქსოფლმანქანის“, ქუთაისის საავტომობილო ქარხნებში და სხვ.

ენერგიაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება იზრდება. უნდა გაიზარდოს ყველა სახეობის ენერგიის წარმოებაც.

**კორესპონდენტი:** რა სახეობათა ენერგიის გამოყენებით უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნა მასზე?

**ვ. ვადაჭკორია:** ენერგეტიკის მომავალი, როგორც ყველა ქვეყნის მეცნიერები ამტკიცებენ, უთუოდ დაკავშირებულია ატომურ ენერგეტიკასთან. „ქლასიკური“ სახეობის ენერგიასთან შედარებით ატომურ ენერგიას აქვს გარკვეული უპირატესობანი, სახელდობრ: პრაქტიკულად გამორიცხულია მოპოვების ადგილიდან მოხმარების ადგილზე მრავალტონაჟიანი ტვირთის გადაზიდვა, ატომური ენერგიის წარმოების თვითღირებულება უფრო ნაკლებია, ვიდრე თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგიისა. გარდა ამისა, ნაკლებად ბუჭყიანდება გარემო, ხოლო ეს პრობლემა, ზოგიერთ 

# ოკეანის ხალხთა ხელოვნება

## პოლინეზიისა და მელანეზიის კულტურულ ძეგლთა გამოფენა თბილისში



**საქართველოს** სახელმწიფო სურათების გალერეაში ათასობით დამთვალიერებელი გაეცნო ოკეანის ორი დიდი რეგიონის — პოლინეზიისა (ჰავაის კუნძულები, სამოა, ტონგა, ტუბუაი, ტუვალუ, მარკეზის კუნძულები, ტაიტი, ტუამოტუ...) და მელანეზიის (ახალი გვინეა ანუ იროანი, სოლომონის კუნძულები, ახალი ჰებრიდები, ახალი კალედონია, ფიჯი...) მკვიდრთა მატერიალური ყოფის, სოციალური ურთიერთობისა და სულიერი კულტურის ამსახველ ექსპონატებს. მათი რაოდენობა 700 ერთეულს შეადგენს. ეს კოლექციები ექსპონირებული იყო საფრანგეთში, შეიეცარიაში, იაპონიასა და შვეიცარიაში. შარშან გამოფენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით საბჭოთა კავშირში იქნა ჩამოტანილი. იგი მოეწყო მოსკოვში, წყარო ოკეანის XIV სამეცნიერო კონგრესის მუშაობის დღეებში — ხაბაროვსკში და წელს — ნოვოსიბირსკში.

ახლახან ჩვენი დედაქალაქის მკვიდრთ თუ სტუმრებს მიეცათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ ოკეანის ხალხთა ამ კულტურულ მონაპოვარს.

გამოფენა შთამბეჭდავია, ეფექტური, საექსპოზიციო პრინციპები ორიგინალურია.

გამოფენა ოკეანის ხალხთა შორის არსებული შრომის ტრადიციული დანაწილების ანალოგიურად ორ — „მამაკაცთა“ და „ქალთა“ სამყაროდ არის წარმოდგენილი.

„მამაკაცთა სამყაროში“ ექსპონირებულია მიწათმოქმედებასთან, მეთევზეობასთან და ნადირობასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი იარაღი, სხვადასხვა ფორმისა და ზომის საბრძოლო შუბები, ორიგინალური სატევრები, ერთი ხისგან გამოთლილი ნავები, ფულის ერთეულად მიჩნეული საგნები, საკულტო დანიშნულების ნივთები, მუსიკალური საკრავები...

„ქალთა სამყარო“ უპირველეს ყოვლისა წარმოდგენილია სხვადასხვა ზომისა და მოხატულობის განსაცვიფრებელი ტაპების შესანიშნავი კოლექციით. ზოგიერთი მათგანი 100 წელზე მეტი ხნისაა. გამოფენაზე წარმოდგენილი ყველაზე დიდი ზომის ტაპა 30 მეტრია. მის დამზადებას სამი სოფლის ქალების ორი წლის შრომა დასჭირდა.

ტაპა უქსოვი „ქსოვილია“, რომელიც განსაკუთრებული ხის ჯიშების ლაფნებისაგან დაბეგვის წესით მიიღება. მას მრავალნაირი დანიშნულება ჰქონდა. იყენებდნენ შესაბამისად, ფარდებად, ხალიჩებად, ატანდნენ მზითვად. იგი ფულის მნიშვნელობითაც კი გამოიყენებოდა.

ექსპოზიციაში ფართოდ არის ნაჩვენები თავსამკაულები, სავარცლები, მარაოები, ქალის შრომა-საქმიანობასთან დაკავშირებული ნივთები, განსაკუთრებით კერამიკული და ხის ნაწარმი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ოკეანელები იმ ხალხებს განეკუთვნებიან, რომელთაც განსაკუთრებით განვითარებული აქვთ ესთეტიკური გრძნობა. მათი შემოქმედებითი საქმიანობა ყველაზე ნათლად მეღავნდება სახვითს ხელოვნებაში, რომელიც ძირითადად დეკორატიულ გამოყენებითი ხასიათისაა.

პოლინეზიელებს, ისევე როგორც მელანეზიელებს, უყვართ ყოფითი საგნების მოხატვა, შემკობა, განსაკუთრებით მდიდრულად არის ორნამენტირებული ნავები, ნიჩბები, შუბები, ისრის ბუნიკები, ათასგვარი კოვზები, ჩამჩები, ჭილფები, ქალის წინსაფრები და სხვ.

სამეურნეო-ყოფითი დანიშნულების საგნების გარდა ორნამენტირებულია სარიტუალო ნივთებიც. ხისგან გამოთლილი ადამიანის ფიგურები, ნიღბები, საცეკვაო აქსესუარები, ტოტემური გამოსახულებანი. საკულტო დანიშნულების ნივთების შემკობა მხოლოდ „პროფესიონალ მხატვართა“ საქმიანობას შეადგენდა. მხატვარი საზოგადოების რიგითი წევრია და მხოლოდ საგანგებო დავალების შესრულების დროს სარგებლობს სოფლის განსაკუთრებული ყურადღებით. მხატვრული შემკობის წესები საიდუმლოებას შეადგენდა და ერთი ოჯახის მემკვიდრეობითი კუთვნილება იყო.

გამოფენილი ნივთები სრულ წარმოდგენას გვიქმნის პოლინეზიისა და მელანეზიის ადგილობრივი მოსახლეობის ყოფასა და კულტურაზე, მის მხატვრულ ტრადიციებზე, გამოფენა ოკეანის ხალხების სულიერ ფასეულობათა ისტორიის საუკეთესო წყაროა.

რა კუთხითაც არ უნდა გავიაზროთ და შევხედოთ გამოფენას, მისი მნიშვნელობა დიდია. იგი კიდევ უფრო იზრდება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ოკეანის მრავალ კუნძულზე დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს მოდერნიზაციის პროცესი, ნაწილობრივ ან მთლიანად ბოლო ედება კოლონიური სისტემისა თუ სხვა მიზეზების წყალობით ეთნომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ხელოვნურ კონსერვაციას. იცვლება, ხშირად სრულიად ქრება კიდეც ტრადიციული ყოფისა და კულტურის თვალსაჩინო ელემენტები. ამიტომ, დღეს უკვე ზოგი რამ, რისი ნახვაც. გამოფენაზეა შესაძლებელი, ოკეანის სინამდვილისათვის მოგონების სფეროს განეკუთვნება.

მაგრამ ჩვენ არაფერი გვთქვამს იმათ შესახებ, ვინც ეს ისტორიული წყაროს მნიშვნელობის მქონე კოლექციები უანგაროდ, საკუთარი სახსრებით, ოფლითა და სისხლით მოიპოვა, დაიუჭა, დავიწყების მსახვრალ ხელს აცდინა, გადაარჩინა და ხალხს მშვენიერებასთან შეხვედრის სიამოვნება მოჰგვარა.

ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ფრანგი მოქალაქე, წარმომობით რუსი, კოლორიტული პიროვნება, მხატვარი ნიკოლოზ მიშუტუშკინი (დაბ. 1929 წ.), მან მშობლების დაჟინებითი მოთხოვნით (მამა ფოტოგრაფი იყო, დედა ფაბრიკაში მუშაობდა) უმაღლესი კომერციული სასწავლებელი დამთავარა, მაგრამ გული ხელოვნებისაკენ მიუწევდა და აი, ნ. მიშუტუშკინიც არასისტემატიურად, მაგრამ მაინც სწავლობს პარიზის სამხატვრო სტუდიაში „გრან შამიერში“ („დიდი ქოხი“), ამთავრებს მას და დიდი ხნის ოცნების განხორციელებაზე — შორეულ ქვეყნებში მოხვედრაზე ზრუნავს. მცირე სახსრებით იგი 1953 წელს ტოვებს პარიზს. ამ დროიდან იწყება მისთვის სრულიად უჩვეულო, მოულოდნელობებით აღსავსე დღეები. თვითონ მიშუტუშკინი ამბობს, ჩემი ცხოვრების გზა საკმაო ძნელი, მაგრამ ფანტასტიკურად საინტერესო გამოდგაო. თურქეთი, სირია, ისრაელი, ეგვიპტე, ერაყი, ირანი, ავღანეთი, ინდოეთი, შრი ლანკა, ნეპალი, ბირმა, კამპუჩია, ვიეტნამი — ეს ის ქვეყნებია, სადაც მიშუტუშკინი ხიბეირი ხელოვნის დაკვირვებული თვალით ეცნობოდა ხალხთა ცხოვრებას, მათ ისტორიას.

პერიოდულად მიშუტუშკინი აწყობდა საკუთარ ნამუშევართა გამოფენა-ვაჭრობას, ადგილობრივ მხატვართა გამოფენებს, რაშიც კარგად მეღავნდება მისი, როგორც ორგანიზატორის ნიჭი და უნარი.

ოკეანაში ნ. მიშუტუშკინი პირველად ამ 23 წლის წინათ ჩავიდა. დაინტერესდა და მოიხიბლა ამ ხალხების ცხოვრებით. იგი დროდადრო აწყობს საველე გასვლებს ოკეანის სიღრმეში და თავს უყრის ყოფითს რეალიებს, რომელთა რიცხვი დღეისათვის 3000 ერთეულს აღწევს. აქედან 700 ერთეული მან უსასყიდლოდ გადასცა მისი ინიციატივით 1978 წელს შექმნილ ოკეანის კულტურულ ღირებულებათა დაცვის ფონდს, რომელიც განკუთვნილია ოკეანის საზღვრებს გარეთ გამოფენებისათვის.

1959 წელს მიშუტუშკინი ხსნის პირველ სამხატვრო გალერეას ქ. ნუმეაში, სადაც თავის ნამუშევრებთან ერთად გამოფინა ახალ კალედონელთა ყოფითი საგნები. აქ გაეცნო იგი პოლინეზიელ ალოის პოლიოოს, რომელიც მტვიერთავად მუშაობდა ნუმეაში. მიშუტუშკინმა ჯეროვნად შეაფასა ამ ახალგაზრდის ნიჭი და შესთავაზა მას ბედი ესინჯა მხატვრობაში. პოლიოოს მიღწევა იმდენად დიდი იყო, რომ უკვე ერთი წლის შემდეგ იგი მონაწილეობას იღებს, როგორც მხატვარი, მიშუტუშკინის გამოფენებში. 1961 წლიდან იგი თანამშრომლობს ეპასთან, ეხმარება მიშუტუშკინს ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვებაში.

დღევანდელ გამოფენასაც, მიშუტუშკინის ოკეანის თემაზე შექმნილ ნაწარმოებთან ერთად ამშვენებს პოლიოოს ნაქარგები და ნახატები.

1961 წლიდან მიშუტუშკინი მუდმივ საცხოვრებლად გადადის ქ. ვილაში (ეფატის კუნძული, ახალი ჰებრიდები). ეთნოგრაფიული მასალების შეგროვების პარალელურად მხატვარი შესაშური სიხშირით აწყობს გამოფენებს დამთვალიერებელთა ფართო წრისათვის. მუდმივმოქმედი გამოფენა კი მხატვარს მოწყობილი აქვს საკუთარ სახლში ტროპიკული მცენარეების ფონზე.

მიშუტუშკინს აქვს ერთი, ჯერჯერობით განუხორციელებელი ოცნება: მას სურს პოლიოოსთან ერთად მოაწყოს პოლინეზიისა და მელანეზიის საზღვარზე ახალი ტიპის მუზეუმი, რომელიც გახდება ეთნოგრაფიული და მხატვრული საგნების არა მარტო დასაუნჯებელი და გამოსაფენი ადგილი, არამედ ოკეანის ხელოვნების აღორძინების ცენტრიც.

**რ. თოდუა.**

* * *

**სურათებზე (მარცხნიდან): მხატვარი ალოის პოლიოოს; ოთხის ბუჩქელი; წინაპარი; ძვლის ხანჯლები (ახალი გვინეის ექსპონატები).**

# რ. რეიგანი — პრეზიდენტობის კანდიდატი

**დეტროიტი,** 18 ივლისი. რესპუბლიკური პარტიის აქ მიმდინარე ეროვნულმა ყრილობამ ოფიციალურად დაამტკიცა რონალდ რეიგანი პრეზიდენტობის კანდიდატად ამ პარტიისაგან. მომავალ ნოემბრის არჩევნებში რეიგანი მეტოქეობას გაუწევს დემოკრატიული პარტიის კანდიდატს, რომელსაც იგი დასასრულს თავის ყრილობაზე აგვისტოში.

რ. რეიგანი დაიბადა 1911 წელს, 1937 წელს ჰოლივუდის მსახიობი გახდა, იყო მთელი რიგი სატელევიზიო პროგრამების წამყვანი. 1967-1974 წლებში ეკავა კალიფორნიის გუბერნატორის პოსტი. 1968 და 1976 წლებში ცდილობდა მიეღწია პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურის დასახელებისათვის, მაგრამ მხარდაჭერა ვერ მოიპოვა რესპუბლიკელთა ყრილობებზე.

რ. რეიგანმა განაცხადა, რომ ყრილობას ურჩევს ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელოს ჯორჯ ბუში. ეს რეკომენდაცია ავტომატურად დადასტურდება ყრილობის საბოლოო სხდომაზე.

ჯ. ბუში დაიბადა 1924 წელს. 1966 წელს იგი აირჩიეს კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში. 1970-1973 წლებში ეკავა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენლის პოსტი. 1975-1977 წლებში იყო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი.

საგარეო და სამხედრო პოლიტიკის დარგში რ. რეიგანი, როგორც მისი განცხადებები, აგრეთვე ყრილობის მიერ მოწონებული რესპუბლიკური პარტიის არჩევნებისწინა პლატფორმა მოწმობს, მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების საომარი სამზადისის შემდგომ გაძლიერებას, ამერიკის მხედრიონის ყოფნის ზრდას მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში. რესპუბლიკელთა პლატფორმა ისახავს საბჭოთა კავშირის მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების „სამხედრო უპირატესობის მიღწევის“ ამოცანას.

პლატფორმის ეს მხარე გააკრიტიკა სახელმწიფო მდივანმა ე. მასკიმ. დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოების ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ასეთ კურსს „ეტყობა უნდა მოჰყვეს გამალებული შეიარაღების გაძლიერება“. მაგრამ კარგად არის ცნობილი, რომ სწორედ ამ კურსს ადგას დემოკრატიული პარტიის ახლანდელი ადმინისტრაცია.

მან შეაჩერა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების რატიფიკაცია, 1981 საფინანსო წლისთვის მოითხოვა რეკორდული სამხედრო ბიუჯეტი, რომელშიც სამხედრო ხარჯები 170,5 მილიარდ დოლარს აღწევს. ყოველივე ამის შედეგად პენტაგონმა აღიარე ი ციის, როგორ განაგოს ეს კოლოსალური ასიგნებანი. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაისმი“ აღნიშნავდა, თავდაცვის სამინისტრო ველარც კი ახერხებს პირადი შემადგენლობით დააკომპლექტოს სამხედრო-საზღვაო ძალთა ახლად აგებული ხომალდები.


# საერთაშორისო ცხოვრება დღეპაწის ჯურნალზე

**საკდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვაცყობინებენ**


# გმადლობთ, შრომითო მეოთხედო!

**აი** დამთავრდა საქართველოს უფროსკლასელთა საზაფხულო შრომითი მეოთხედი. უკან დარჩა დამკვრელური შრომის დღეები, საინტერესო ღონისძიებებით, რესპუბლიკის წარჩინებულ ადამიანებთან შეხვედრებით, სპორტული ბატალიებით, საინტერესო ექსკურსიებითა და ლამპრობებით აოსავსე დღეები. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამშენებლო რაზმების საბჭოების რესპუბლიკურ შტაბში აცნობეს, 7000-ზე მეტი შრომითი გაერთიანება—213 ათასი ბავშვი მუშაობდა ამ ზაფხულს ტრადიციული დევიზით—„ჩემი შრომა ჩემი რესპუბლიკის გარჯას ეწყვის“. მათმა წვლილმა ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ყურადღებაში 30 მილიონი მანეთი შეადგინა. აქედან დამკვრელური შრომის დღეებში გამომუშავებული სახსრების დაახლოებით მილიონი მანეთი გადაირიცხა სკოლების კომკავშირული აქტივის სულიერად საკავშირო ბანკის მშენებლობის ფონდსა და ქალაქ გაგარინის კეთილშოწყობის ფონდში.

ასეთია რესპუბლიკის უფროსკლასელთა საზაფხულო მეოთხედის მთავარი შედეგი. „მეხუთე“ მეოთხედი შრომითი, იდეური და ზნეობრივი წრთობის შესანიშნავი სკოლა გახდა ახალგაზრდობისათვის. მოსწავლეთა შრომითი დესანტების უმრავლესობა მუშაობდა ველ-მინდვრებსა და პლანტაციებში, ბაღ-ვენახებსა და მეცხოველეობის ფერმებში.

მოსწავლეთა შრომითს გაერთიანებებში ფართოდ გავრცელდა ამ ზაფხულს ქარელის რაიონის ქვენატკოცის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში დისლოცირებული თბილისის 66-ე საშუალო სკოლის შრომისა და დასვენების ბანკის „სმენის“ ბავშვთა ინიციატივა. დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35-ე წლისთავის წელს მათ თავიანთ კოლექტივში ჩარიცხეს ომის გმირი თინა იოსებიძე და მის წილად დამატებითი ნორმა გამოიმუშავეს. მათს მაგალითს მიბაძეს თბილისელ უფროსკლასელთა სხვა რაზმებმაც, რომლებმაც კარგად იშრომეს მცხეთის, გორის, ხაშურის, კასპის, დუშეთის, გურჯაანის, ზუგდიდის, ოჩამჩირის, ახმეტის, თელავის, ხობისა და სხვა რაიონების მეურნეობებში. კარგი სახელი დატოვეს გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მეხილეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივში ნორჩმა რუსთაველებმა, ხოლო ქალაქის მიმდებარე რაიონების მეურნეობებში—ქუთაისელმა უფროსკლასელებმა.

ათიათასობით მოსწავლემ შრომითი ზაფხული გაატარა მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებში, რომლებიც დიდ სამრეწველო საწარმოებსა და მომსახურების სფეროს საწარმოებში შეიქმნა. გამოცდილ დამრიგებელთა ხელმძღვანელობით ისინი აქ დაეუფლნენ მომავალი პროფესიის ანბანს. (საქინფორმი).

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის წყალთა მეურნეობის სისტემის მუშაკთა ჯგუფებს მიენიჭა „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორის“, „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ენერგეტიკოსის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ტყელაბორატორის“, „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ და „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის“ სიპატიო წოდებანი. (საქინფორმი).

# საზეიმო მიტინგი ჰანოიში

**ჰანოი,** 18 ივლისი. აქ გაიმართა საზოგადოებრიობის საზეიმო მიტინგი, რომელიც საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ეკონომიკური თანამშრომლობის 25-ე წლისთავს მიეძღვნა.

მიტინგზე გამოსვლისას ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ტო ხიუმ აღნიშნა, რომ ეკონომიკური თანამშრომლობის პირველი შეთანხმება ორი მოძმე სოციალისტური ქვეყნის მრავალმხრივი ურთიერთობის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა.

დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში ვიეტნამელი ხალხის გამარჯვება განუყოფელია იმ უანგარო მხარდაჭერისა და უდიდესი დახმარებისაგან, რომელსაც მას უწევენ მოძმე საბჭოთა კავშირის პარტია, მთავრობა და ხალხი.

სსრ კავშირის დახმარება და მხარდაჭერა ვიეტნამის რევოლუციის ძლევამოსილი განვითარების საიმედო გარანტიაა. ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ კურსს.

მიტინგზე გამოსვლისას ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ლე ჭხაკმა აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობა თავიდანვე წარმოადგენდა ახალი ტიპის საერთაშორისო თანამშრომლობის ნიმუშს.

ორი ქვეყნის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ახალი მკაფიო გამოხატულება გახდა, ხაზი გაუსვა მან, სსრ კავშირისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა ამსწონანდელი მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრმა ნ. ვ. ტალიზინმა მიტინგის მონაწილეთა ტაშის გრიალში წაიკითხა ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ა. ნ. კოსიგინის მისასალმებელი დეპეშა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისადმი საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ეკონომიკური თანამშრომლობის 25 წლისთავის გამო.

## სტიქიური უბედურება



**ამ ერთიოდე თვის წინათ ძლიერი გრიგალი დაატყდა თავს ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროს. განსაკუთრებით დაზარალდა პენსილვანიის, ოჰაიოს, მერილენდისა და ვირჯინიის შტატები.**

**ახლა კი ქვეყნის სამხრეთსა და სამხრეთ დასავლეთში ძლიერ დაცხა. სიცხისაგან დაიხოცა დიდძალი ხალხი, განადგურდა მოსავალი, გაწყდა უამრავი პირუტყვი და ფრინველი.**

**სურათებზე: ტეხასის შტატის ერთ-ერთი რაიონის გვალვისაგან დამსკდარი ნიადაგი (ზევით); გრიგალისაგან დაზიანებული ობიექტი.**

**საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.**

# „პეკინური დემოკრატიის“ აატრიბუტები

**ტოკიო.** 18 ივლისი. პეკინის პრესაში გამოქვეყნდა წესები პოლიციის თანამშრომლების მიერ ხელკეტების, ბორკილებისა და თოკების მასობრივი გამოყენების შესახებ მოწმობს, რომ პეკინში მატულობს ტინდენცია, გააძლიერონ რეპრესიული აპარატი, რათა გაუსწორდნენ „სხვაგვარად მოაზროვნეებს“ და ჩაახშონ თავისუფლებანი. ასეთსავე მიზანს, ემსახურება ისეთი ნაბიჯი, როგორიც არის ახლახან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის ერთ-ერთი მუხლის გაუქმება, რომელშიც ლაპარაკი იყო „აზრის ფართოდ გამოთქმის თავისუფლების შესახებ“. რაღა ფასი აქვს ამ ფაქტების ფონზე დენ სიაოპინის თვითრეკლამურ განცხადებებს „ქვეყანაში შეკავშირების საქმეში დიდ გამარჯვებებზე“? მართებულ კითხვას სვამს ამასთან დაკავშირებით პეკინში მყოფი ბეერი მეთვალყურე.

საგულისხმოა, რომ როგორც ცნობილი გახდა, ჩინეთის პოლიციის მოხელეები ახლახან ეწევიან დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებს, სადაც შეიძინეს დემონსტრაციების ჩასახშობი იარაღის გამოყენების „გამოცდილება“ და შესაბამისი „დახმარება“ მიიღეს მთელი რიგი იმპერიალისტური სახელმწიფოების რეპრესიული ორგანოებისაგან.

# მშვიდობისათვის ბრძოლის ნიშნით

**ბონი.** გერმანელთა კომპარტია პარლამენტის არჩევნებისათვის, რომელიც 5 ოქტომბერს უნდა გაიმართოს, ემზადება დაძაბულობის შენელებისათვის, საერთაშორისო თანამშრომლობის მოწინააღმდეგეთა ხრიკების ჩაშლისათვის, მუშათა კლასისა და მშრომელთა სხვა ფენების დემოკრატიული და სოციალური უფლებების დაცვისათვის.

დიუსელდორფში გამოსვლისას გერმანელთა კომპარტიის თავმჯდომარემ ჰ. მისმა მოუწოდა საარჩევნო ბრძოლის ბოლო ეტაპზე საწარმოთა რაც შეიძლება მეტ მუშა-მოსამსახურეს, აგრეთვე ახალგაზრდობის ფართო ფენებს გაეცნონ კომუნისტთა წინადადებანი, რომლებიც შეესაბამება დაძაბულობის შენელების, მშვიდობისა და განიარაღების უზრუნველყოფის ინტერესებს.

გერმანელთა კომპარტია გულოსწორმით გმობს პოლიტიკას, რომელიც მშრომელებისაგან სულ უფრო მეტ მსხვერპლს მოითხოვს გამალებული შეიარაღების ინტერესებისათვის, განაცხადა ჰ. მისმა. მან აღნიშნა აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ბოლოდროინდელი სამშვიდობო ინიციატივების დიდი მნიშვნელობა.

# სამხედრო გადატრიალება ბოლივიაში

**მადრიდი.** 18 ივლისი. აქ მიღებული ცნობებით, ბოლივიაში მოხდა სამხედრო გადატრიალება. ჯარის კაცებმა რეაქციული პარტიის — ბოლივიის სოციალისტური ფალანგის შეიარაღებული ჯგუფის მხარდაჭერით ხელი იგდეს მთავრობის სასახლე „კ

# დღეს მოსკოვში

**ვ. ი. ლენინის სახელობის „ლუჟნიკის“ ცენტრალურ სტადიონზე ზაფხულის XXII ოლიმპიადის მთავარ სარბიელზე საზეიმო ვითარებაში აინთება მსოფლიოს ამ უდიდესი სპორტული ასპარეზობის ცეცხლი. მხურვალე სალამი ოლიმპიადის მონაწილეებს!**

# გზა დაგელოცოთ!

**საქართველოდან** თექვსმეტი სპორტსმენი შეიყვანეს სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებში. ეს ამბავი მკითხველმა უკვე იცის. გავიხსენოთ ძველიც: ჰელსინკში ჩვენი რესპუბლიკიდან წარგზავნილი იყო 14 სპორტსმენი, მელბურნში — 10, რომში — 16, ტოკიოში — 18, მეხიკოში — 14, მიუნხენში — 16, მონრეალში — 11 და, აი ახლა, მოსკოვში —16. წინა ოლიმპიადებზე საქართველოს წარგზავნილებმა შესაბამისად 8, 8, 10, 11, 6, 10 და 6 სხვადასხვა ფასეულობის მედალი მოიპოვეს. რას მოვიმკით მოსკოვის ოლიმპიადაზე? ცხადია, ამ კითხვაზე საბოლოო პასუხს მხოლოდ ოლიმპიადის დასასრულს გავიგებთ.

წინა შვიდ ოლიმპიადაში (ჰელსინკი, მელბურნი, რომი, ტოკიო, მეხიკო, მიუნხენი, მონრეალი) საქართველოს წარგზავნილებმა იასპარეზეს 19 სახეობის სპორტში (კალათბურთი, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა, ველოსპორტი, ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა, ძალოსნობა, ფეხბურთი, წყალბურთი, ფარიკაობა, ფრენბურთი, ძიუდო, წყალხტომა ტყვიის სროლა, ბაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობა, ბაიდარითა და კანოეთი სლალომი, მშვილდოსნობა და ხელბურთი). მოსკოვის ოლიმპიადაზე ამ 19 სახეობას დაემატება მეოცე და ოცდამეერთე — კრივი და სასტენდო სროლა. აღნიშნული სახეობებიდან ჩვენი რესპუბლიკისათვის ტრადიციულად უნდა მივიჩნიოთ კალათბურთი (მელბურნის გარდა ყველგან გვყავდა წარმომადგენელი), თავისუფალი ჭიდაობა, (ყველა წინა ოლიმპიადაში გვყავდა ფალავანი, მოსკოვში კი ჩვენი რესპუბლიკიდან არავინ გამოვა. ეს პირველი შემთხვევაა, რომ ოლიმპიადაში მოასპარეზე თავისუფალი სტილის მოჭიდავე არ გვეყოლება), მძლეოსნობა და ცურვა (ყველა ოლიმპიადაში გვყავდა წარმომადგენლები და მოსკოვშიც იასპარეზებენ), ძიუდო (აქამდე სამი ოლიმპიადის პროგრამაში იყო და სამივეში მიიღეს მონაწილეობა ქართველმა სპორტსმენებმა, ჩვენი ძიუდოისტები მოსკოვშიც იასპარეზებენ). კლასიკური ჭიდაობა (ამ სახეობის წარმომადგენლებს ჩვენი რესპუბლიკიდან არ უასპარეზიათ მხოლოდ ჰელსინკსა და მონრეალში).

სპორტის სახეობათა მიხედვით საქართველოდან მოსკოვის ოლიმპიადაზე გამართულ შვიდ ასპარეზობაში მონაწილეთა რაოდენობა ასეთი იყო: მძლეოსნობა — 16 მონაწილე, თავისუფალი ჭიდაობა — 15, კალათბურთი — 10, კლასიკური ჭიდაობა — 9, ცურვა და ძიუდო — 8-8, ფარიკაობა — 7, ველოსპორტი, წყალბურთი და ფეხბურთი — 4-4, ძალოსნობა და ტყვიის სროლა — 3-3, წყალხტომა —2, ტანვარჯიში ფრენბურთი, ბაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობა, ბაიდარითა და კანოეთი სლალომი, მშვილდოსნობა და ხელბურთი — თითო მონაწილე.

ამჯერად, მოსკოვის ოლიმპიადაში საქართველოდან 11 სახეობის სპორტის თექვსმეტმა წარმომადგენელმა უნდა იასპარეზოს (სამ-სამმა ფეხბურთელმა და ძიუდოისტმა, ორმა მძლეოსანმა და თითო კალათბურთელმა, მოცურავემ, კლასიკური ტანის მოჭიდავემ, წყალმხტომელმა, სტენდზე მსროლელმა, მშვილდოსანმა, ხელბურთელმა და მოკრივემ).

უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები საბჭოთა ოლიმპიური ნაკრები გუნდების წარმატებაში თავის წვლილს შეიტანენ. თუ როგორი იქნება მათი წვლილი, ახლა ამაზე ლაპარაკი ცოტა არ იყოს ნაადრევია, მაგრამ თუ რა პოტენციური შესაძლებლობანი გვაქვს, ამაზე მსჯელობა აღბათ შეიძლება. მივყვეთ სახეობათა მიხედვით:

**ფეხბურთი** (ოლიმპიური ტურნირი. დაიწყება 21 ივლისს, დამთავრდება 2 აგვისტოს). ოლიმპიურ ნაკრებში ქართველი ფეხბურთელები მესამედ წარმომადგენლობენ (ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები ჰელსინკისა და მიუნხენის ოლიმპიადებში მონაწილეობდნენ. მონრეალის ოლიმპიადაში უნდა ეასპარეზა დ. ყიფიანს, მაგრამ იგი მწვრთნელებმა ნაკრების შემადგენლობაში ერთხელაც არ დააყენეს, და, ცხადია, იგი რესპუბლიკის ოლიმპიელთა სათვალავში არ შედის. ასეთივე ბედი ეწია მონრეალში ტანმოვარჯიშე პ. შამუგიას). ამჯერად ნაკრების შემადგენლობაში არიან შეყვანილი ალექსანდრე ჩიგაევ, თენგიზ სულაქველიძე, და რამაზ ჩელებაძე. საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების პოტენციური შესაძლებლობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მას ქვეჯგუფში პირველი ადგილის დაკავების შანსი აქვს. ასეთივე შანსი აქვთ დანარჩენ სამ ქვეჯგუფში ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და იუგოსლავიის გუნდებს, ბოლო ამ ორ კოლექტივს შესაბამისად შეიძლება შეეცილონ ესპანელები და ფინელები. საბჭოთა ნაკრებს მეოთხედფინალური ეტაპის მშვიდობიანად განვლის კარგი პერსპექტივებიც აქვს, ხოლო რაც შეეხება წინახვარფინალურ ეტაპს, აქ ბრძოლა გართულდება, რადგან ჩვენს ნაკრებს ამ ეტაპზე უთუოდ ძლიერ კოლექტივთან მოუწევს შეხვედრა.

**ძიუდო** (27 ივლისი — 2 აგვისტო). ამ სახეობაში საქართველოდან სამმა წარმომადგენელმა უნდა იასპარეზოს: თემურ ხუბულურმა, შოთა ხაბარელმა და თამაზ ნამგალაურმა. სპეციალისტები განსაკუთრებით დიდ შეფასებას აძლევენ თემური ხუბულურს. ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ იგი ტატამზე ვირტუოზულად მოქმედებს და საბჭოთა ნაკრების იმედია. დიდი პოტენციური შესაძლებლობების ძიუდოისტად მიაჩნიათ მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი თამაზ ნამგალაური და ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი შოთა ხაბარელი.

**მძლეოსნობა** (24 ივლისი —1 აგვისტო). საქართველოდან ოლიმპიადაში ორნი იასპარეზებენ: სამტხტომში — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი და შუბის ტყორცნაში — საიდა გუნდა. ორივეს საკვალიფიკაციო ასპარეზობაში ჩაბმა 24 ივლისს უწევს, 25 ივლისს კი ფინალური ეტაპი გაიმართება. სანეევს გამოცდილება და ოსტატობა არ აკლია, და, იგი უთუოდ შეეცდება რაც შეიძლება უკეთესი შედეგის მოპოვებას. საიდა გუნდას ერთობ ძლიერი მეტოქეები ეყოლება, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მან ამ უკანასკნელ ხანს კარგი შედეგები მოიპოვა, საკავშირო რეკორდიც დაამყარა.

**მშვილდოსნობა** (30 ივლისი — 2 აგვისტო). ქალთევან ლოსაბერიძემ ერთობ უშეღავათო ბრძოლით მოიპოვა ადგილი ოლიმპიურ გუნდში. ნაკრებში ორ ვაკანტიურ ადგილზე მასთან ერთად კიდევ ხუთი სპორტსმენი აცხადებდა პრეტენზიას. ამ ექვსეულში ლოსაბერიძე ერთხანს ყოველთვის მესამე იყო, ბოლო მომენტში კი მაინც შეძლო დაწინაურება და, ცხადია, ოლიმპიურ ნაკრებშიც დამკვიდრდება. ქალთევანი ბოლომდე მებრძოლი სპორტსმენია და უნდა ვივარაუდოთ, რომ ოლიმპიადაში მთელ თავის შესაძლებლობებს სრულად გამოავლენს.

**წყალხტომა** (20 ივლისი — 28 ივლისი). ამ სახეობაში ჩვენი რესპუბლიკის იმედია ლიანა ცოტაძე. მან ამის საფუძველი ჯერ სსრ კავშირის ხალხთა ბოლო სპარტაკიადაში, წლეულს კი საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებით მოგვცა. ჩვენში ცოტაძეს კოშკიდან ხტომაში, მართლაც რომ, ბადალი არა ჰყავს. ვინ იცის, ასეთივე შეფასება მან მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენებთან ჭიდილშიც მოიპოვოს.

**ცურვა** (20-27 ივლისი). ამ სახეობის სპორტში ჩვენს რესპუბლიკას ყოველთვის ჰყავდა ოლიმპიელი. თავის დროზე ყველაზე დიდი წარმატება მოიპოვა ბორის ნიკიტინმა. მან თანაგუნდელებთან ერთად 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, სხვადასხვა სახეობაში ორ მეოთხე ადგილს დაეუფლა თინათინ ლეკვეიშვილი. ალექსანდრე ტუტაევი ერთხელ იყო მეოთხე ადგილზე, ხოლო იგორ ომელჩენკო ერთხელ — მეხუთეზე. ჩვენი წლევანდელი ოლიმპიელის — ირინე გერასიმოვას ამოცანა აღბათ სწორედ ის არის, რომ წინა ოლიმპიადებში საქართველოს სპორტსმენთა მიერ მოპოვებულ შედეგებზე უკეთესი მაჩვენებლებით დაამთავროს ცისფერ ბილიკებზე ასპარეზობა.

**კალათბურთი** (20-30 ივლისი). ვაჟთა კალათბურთის ოლიმპიური დებიუტი 1936 წლის ოლიმპიადაზე შედგა. მოსკოვში კალათბურთელ ვაჟთა ოლიმპიური ასპარეზობა უკვე რიგით მეათეა და, ცხადია, საიუბილეოც, ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელებს საბჭოთა ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებში არაერთხელ უსახელებიათ თავი. ახლა ამის შესაძლებლობა ეძლევა თბილისელ ნიკოლოზ დერიუგინს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თანაგუნდელებთან ერთად დერიუგინიც დამაჯერებლად და ოსტატურად იბრძოლებს წარმატებისათვის.

**ხელბურთი** (20-30 ივლისი). საბჭოთა ოლიმპიურმა ნაკრებმა მონრეალის ოლიმპიადაში გაიმარჯვა. მაშინდელ ნაკრებში თბილისის „ბურევესტნიკის“ წევრი ალექსანდრე ანპილოგოვი იყო და სხვებთან ერთად ოქროს მედალს დაეუფლა. ანპილოგოვი ამჯერადაც ნაკრების წევრია და თანაგუნდელებთან ერთად მონრეალში მოპოვებული წარმატების განმტკიცებას მოსკოვშიც შეეცდება.

**კრივი** (20 ივლისი — 2 აგვისტო). ამ სახეობის სპორტში ჩვენს რესპუბლიკას აქამდე ოლიმპიელი არ ჰყოლია, და აი, პირველი მეტოქეობაც: დავით კვეჭაძე ამ შესანიშნავ სპორტსმენს სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონის ტიტულები უკვე აქვს და ურიგო არ იქნება, რომ მან ოლიმპიადაშიც იმარჯოს. ეს კეთილი სურვილია, მაგრამ ოლიმპიადაში წარმატების მოპოვება აოლი რომ არ არის, ესეც ცხადია, ვნახოთ, როგორ წარიმართება ბრძოლა, ერთი კი გვჯერა — დავით კვეჭაძე ძალებს არ დაზოგავს წარმატების მოპოვებისათვის.

**კლასიკური ჭიდაობა** (20-24 ივლისი). მოსკოვის ოლიმპიადაზე ამ სახეობის სპორტში ჩვენი რესპუბლიკიდან ვიხილავთ ვახტანგ ბლაგიძეს. ევროპის წლევანდელ ჩემპიონატში გამარჯვებით ბლაგიძემ კიდევ უფრო განიმტკიცა ადგილი საბჭოთა ნაკრებში და, თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, მოსკოვიდან მისი წარმატების მაუწყებელ ცნობასაც უნდა ველოდოთ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი სურვილი ასეთია და, აღბათ, არც ბლაგიძეს ექნება სხვა რამ საოცნებო.

**სასტენდო სროლა** (20-26 ივლისი). ამ სახეობის სპორტში მედლების ორი კომპლექტი თამაშდება (სასანგრე და მრგვალ სტენდზე), თბილისელი თამაზ იმნაიშვილი მრგვალ სტენდზე სროლაში იასპარეზებს. საქართველოდან მესტენდღურთა შორის საერთოდ იგი პირველია, რომელმაც ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. აქამდე ოლიმპიადებში ასპარეზობის უფლებას ტყვიით მსროლელები იპოვებდნენ. ესენი იყვნენ შოთა ქველიაშვილი (ტოკიო და მეხიკო) და მარლენ პაპაკა (მონრეალი). ტოკიოში ქველიაშვილი ვერცხლის მედალს დაეუფლა, მეხიკოში — მეოთხე ადგილს. უნდა ვიფიქროთ, რომ იმ ნაიშვილისათვის ქველიაშვილის წარმატება კარგი მაგალითი და ორიენტირი იქნება.

**დღეს** მოსკოვის ოლიმპიადის საზეიმო გახსნაა, ხვალ კი საბჭოთა კავშირის დედაქალაქის სპორტულ სარბიელებზე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ახალგაზრდები პირველობისათვის მეგობრულ ჭიდილს დაიწყებენ. ზემოთ უკვე გავაკეთეთ საქართველოს ის სპორტსმენები, რომლებიც მომძლე რესპუბლიკების, ქალაქების, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლებთან ერთად საბჭოთა სპორტის გამარჯვებათა ისტორიის ახალი ფურცლების შევსებას შეუდგებიან. წარმატებას გისურვებთ საქართველოს წარგზავნილებო!

**ჯ. ენუქიძე.**









**სურათებზე:** ოლიმპიადა — 80-ის ახალი სპორტული ნაგებობები — ევროპაში უდიდესი დახურული სტადიონი „ოლიმპიური“, რომელიც 45 ათას მაყურებელს იტევს; საცხენოსნო-სპორტული კომპლექსის ხედი; სპორტული კომპლექსის „ოლიმპიურის“ ხაცურაო აუზი, რომელიც 18 ათასი მაყურებლისთვის არის გათვალისწინებული; ტალინის ოლიმპიური აეროსნო ბის ცენტრი.

(საკლესიის ფოტოკორონიკა).

# მიწა, საიდანაც სტარტს იღებ...

**მერვედ** მონაწილეობენ საბჭოთა სპორტსმენები ოლიმპიურ ასპარეზობაში. 1952 წლიდან მოყოლებული როცა ჩვენი სპორტი ოლიმპიურ სარბიელზე გავიდა, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები წარმატებით გამოდიან ამ უდიდეს სპორტულ ფორუმებში. ამ წარმატებაში დიდია მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენელთა როლი.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და რესპუბლიკების წვლილზე მარტო მოპოვებული ოლიმპიური ჯილდოების რაოდენობის მიხედვით როდი უნდა ვიმსჯელოთ. ეს არის ოლიმპიური გუნდების წვრთნის პირობების შექმნაც, განა საჭიროა იმის განმარტება, რომ სპორტულ ნაგებობებს, სადაც მომავალი ოლიმპიელები ემზადებიან, განსაკუთრებული აუცილებელია.

და ახლა, როცა გუნდებისა და სპორტსმენების მომზადება პრაქტიკულად დამთავრდა, როცა მოსკოვის XXII ოლიმპიადის გახსნამდე დღეები კი არა, საათებიღა დარჩა, ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ ამ გუნდებიდან ბევრმა თავისი მომზადების ადგილად ჩვენი რესპუბლიკის სპორტული კომპლექსები აირჩია. ნიჩბოსნები თავიანთ საწვრთნელ შეკრებას გაფრიდნენ ფოთში, მძლეოსნები — ლესელიძეში, ხოლო გუნდების უდიდესმა ნაწილმა თავისი მომზადების ძირითად ადგილად აირჩია სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ცენტრალური სპორტული ბაზა ეშერაში, სოხუმის მახლობლად.

— ჩვენი სპორტული კომპლექსი თხუთმეტი წლის წინათ ჩადგა მწყობრში, — თქვა ეშერის ბაზის დირექტორმა რ. არშბამ, — მაგრამ იგი ახლაც შენდება, ფართოვდება, კომპლექსის მეორე რიგის მშენებლობის სამუშაოების დამთავრების შემდეგ მწყობრში ჩადგება საცურაო აუზი, კლუბი, ახალი კვები ბლოკი და სხვა ობიექტები. მთელი ამ წლების მანძილზე ჩვენთან უდიდესი საერთაშორისო შეჯიბრებების წინ ემზადებოდნენ სხვადასხვა სახეობის სპორტის სსრ კავშირის ნაკრები გუნდები, მაგრამ ასეთი დაძაბული და რთული პერიოდი, როგორიც მოსკოვის ოლიმპიადისწინა პერიოდი იყო, რა თქმა უნდა, არ გვქონია.

ყოველ ჩვენგანს ესმოდა, რომ მთავარია ჩვენი ოლიმპიელების მომზადებისათვის მაქსიმალურად კარგი პირობების უზრუნველყოფა. ქვეყნის ნაკრები გუნდები, როგორც უკვე ვთქვი, წინათაც ემზადებოდნენ ჩვენთან, კერძოდ, მონრეალის ასპარეზობისა და ლეიკ-პლესიდის წინ, მაგრამ მსგავსი არასოდეს არ ყოფილა, მთელი კოლექტივი, ყველა ნაგებობა, შეიძლება ითქვას, მუშაობდა მაქსიმალური დატვირთვით — აქ მოსამზადებლად იყვნენ თითქმის ყველა ოლიმპიური სახეობის სპორტის წარმომადგენლები — კალათბურთელები, ტანმოვარჯიშეები, მოცურავეები, წყალბურთელები, ფრენბურთელები, მოფარიკაკეები, ხელბურთელები... თავიანთ თანაგუნდელ ამხანაგებთან ერთად აქ ემზადებოდა მოჭიდავე ვახტანგ ბლაგიძე, კალათბურთელი ნიკოლოზ დერიუგინი, ხელბურთელი ალექსანდრე ანპილოგოვი და სხვები. თვითონ განსაკუთ ყოველი მათი წარმატება ორმაგად სასიხარულო იქნება ჩვენთვის, რადგან ოლიმპიადაზე მათს გამარჯვებაში ჩვენი მოკრძალებული წვლილიც არის.

* * *

როცა ეს მასალა დასაბეჭდად მზადდებოდა, რედაქციაში მოვიდა ცნობა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ეშერის სპორტული სკოლის დირექტორს რ. ვ. არშბას მიენიჭა „საქართველოს სსრ ფიზიკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

**ა. აკოფოვი,**
**თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.**

# ოლიმპიური დედაქალაქის მელოდიები

**ოლიმპიურ** მოსკოვში თავი მოუყრია ყოველივე საუკეთესოს, რითაც მდიდარია მრავალეროვნული საბჭოთა ხელოვნება. მსოფლიოს სპორტული დღესასწაულის მონაწილეებს სტუმართმოყვარულად გაუღეს კარი თეატრებმა, საკონცერტო და საგამოფენო დარბაზებმა, მუზეუმებმა, რომლებიც წარმოდგენილი არიან „ოლიმპიადა-80-ის“ კულტურულ პროგრამაში. მისი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო განყოფილებაა საბელმწიფო ცენტრალურ საკონცერტო დარბაზში ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმოგზავნილთა შემოქმედებითი ანგარიშები. 17 ივლისს პირველი სიტყვა თქვეს რუსეთის ფედერაციის ხელოვნების ოსტატებმა — მოსკოვის, ლენინგრადის, სარატოვის, სხვა ქალაქების წამყვანმა მხატვრულმა კოლექტივებმა და შემსრულებლებმა.

კონცერტის პროგრამაშია რუსეთის სფს რესპუბლიკის პიატნიცკის სახელობის რუსული ხალხური გუნდისა და ქორეოგრაფიული ანსამბლის „ბერიოზკის“, ოსპოეოის სახელობის რუსულ ხალხურ საკრავთა ორკესტრისა და რესპუბლიკური რუსული ხალხური ანსამბლის „როსიის“, სსრ კავშირის დიდი თეატრის კამერული ორკესტრების გამოსვლები.

ოლიმპიადის დღეებში მრავალფეროვანი ტალანტებითაა წარმოდგენილი ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მრავალეროვნული ხელოვნება. ყამირის მელოდიები, ხალხური სიმღერები და საცეკვაოები ჩამოიტანა მოსკოვში ყაზახეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა. ახალი ოლიმპიური პროგრამა მოამზადა უზბეკეთის მოცეკვავეთა ანსამბლმა „ბახორამა“, რომელიც წარმოადგენს თავის ცნობილ ცეკვას „ბაბმას“, აგრეთვე ოსურსა, ყირგიზულ, აზერბაიჯანულ ქორეოგრაფიულ მინიატურებს. ცეკვლოვანი ცეკვებია უკრაინის სსრ რესპუბლიკის მოცეკვავეთა ანსამბლის რეპერტუარში. ლატვის ცნობილი კოლექტივის „ლუტუვას“ პროგრამაშია ვოკალურ-ქორეოგრაფიული სუიტა „მეგობრობის ლენტი“.

მოკავშირე რესპუბლიკების წარმოგზავნილთა შემოქმედება ფართოდაა წარმოდგენილი ოლიმპიური სოფლის კულტურული ცენტრის, კონსერვატორიის დიდი დარბაზისა და ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზის, ესტრადის თეატრის საკონცერტო პროგრამებში.

პროფესიულ ოსტატებთან ერთად კონცერტებში მონაწილეობენ მხატვრული თვითმოქმედების ნიჭიერი შემსრულებლები. (საკადესის კორ.).

# ფინალის საგზურით

**საბჭოთა** ჩოგბურთელები გავიდნენ გალეას თასის — ევროპის ახალგაზრდული გუნდების ჩემპიონატის ფინალურ ტურნირებში, რომელიც იუგოსლავიის ქალაქ მარიბორში მიეწყობა.

ნახევარფინალში ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა ჯერ დასავლეთ გერმანელები დამარცხეს (4:1), ხოლო შემდეგ — ავსტრიელები (3:2).

ინფორმაციას ამზადებდა ალ. ბაბაევი.

# ვფიქრობ თბილისზე...

**თარჯოლა.** (საკ. კორ.). „შესანიშნავია, რომ საქართველოს სული ასე ლამაზად და სრულყოფილად ჩანს აქ!“ — ეს სიტყვები ამოღებულია ახლახან გახსნილი სამხატვრო ჭალერეის შთაბეჭდილებათა წიგნიდან და ეკუთვნის თანამედროვე უკრაინული პოეზიის გამოჩენილ ოსტატს ვიტალი კოროტიჩს.

საპატიო სტუმარმა ინტერესით დათვალიერა რაიონის ღირსშესანიშნაობანი, გაეცნო შრომით მოპოვებულ წარმატებებს და მომავლის პერსპექტივებს. უკრაინელ პოეტს ახლდა მისი ლექსების მთარგმნელი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ჯ. ჩარკვიანი.

სიტყვის ოსტატებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს პიონერთა ქალაქ „საპოენელაში“. აქ წაიკითხეს ქართველი ხალხის სიყვარულით გამთბარი ვ. კოროტიჩის ლექსების ჩარკვიანისეული თარგმაანები, საზოგადოებრიობა მოხიბლა ლექსებმა „კავკასია“, „გელათი“, „ქუთაისური ზაფხული“, „განთიადი კახეთში“, „სიხუმე მთაწმინის პანთეონში“, „საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი ვფიქრობ თბილისზე“ და სხვ.

სტუმარი იყო სოფელ ჩხარის ეთნოგრაფიულ მუზეუმში და აღტაცება ვერ დაფარა — მასპინძლებს აღუთქვა, ნანახსა და განცდილს „პრავდის“ — ფურცლებზე ავამეტყველებო!

**ო. ნიჟაბაძე.**

# „ჭოროხის“ ფურცლებზე

**გამოვიდა** საქართველოს მწერალთა კავშირისა და აჭარის განყოფილების ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის „ჭოროხის“ მე-4 ნომერი.

ჟურნალში ვეცნობით პროზისა და პოეზიის ახალ ნიმუშებს, სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სოციალისტური შრომის გმირის ლ. გუდიაშვილის მოგონებებს „პარიზი... პარიზი“, კულტურული ცხოვრების ქრონიკას და სხვა საინტერესო მასალებს.

„ჭოროხი“ გვთავაზობს ახალგაზრდა პოეტის ნათელა დუმბაძის რამდენიმე ლექსს. ეს არის სასიამოვნო გაცნობა პოეტ-ქალთან, რომელიც ზემო აჭარის მთის სოფელ მეძიბნაში დაიბადა და იქვე სწავლობდა. 1978 წელს ბათუმის რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა და თავის სოფელს გერმანული ენის სპეციალისტად დაუბრუნდა. ჟურნალში გამოქვეყნებული ნათელას პოეტური სტრიქონები იმის თავდებია, რომ მომავალში პოეტი-ქალი უკეთეს და უკეთეს ლექსებს შემოგვთავაზებს.

\• \•

**შემთხვევა**

# აფეთქება ბარნაუთთან

**დეპეშა** მოკლე იყო: „აღმოჩენილია ნაღმი. გთხოვთ, გამოგზავნოთ პიროტექნიკოსები აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონის სოფელ ბარნაუთში“.

ნაწილის მეთაურმა გამოიძახა უფროსი ლეიტენანტი სერგი პლიაკინი:

— შეარჩიეთ მეომრები, — თქვა მან, — და დაუყოვნებლივ გაემგზავრეთ.

უკვე მეორე დღეს პიროტექნიკოსები ადგილზე იყვნენ. გამოირკვა, რომ სოფელ ბარნაუთის განაპირას მეწყერი ჩამოწოლილიყო, სწორედ მაშინ აღმოაჩინეს ნაღმი. იგი ფერდობზე ეგდო ოდნავ მიწაყრილში. მისი კორპუსი ძლიერ იყო დაჟანგული — ჯერ კიდევ ომის დროიდან იდო მიწაში. ოფიცერმა იცოდა, რომ ასეთი ნაღმის გაუვნებლება სახიფათო საქმეა. მაგრამ პლიაკინმა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ხუთასჯერ მაინც შეასრულა მსგავსი სამუშაო. ახლი დროს მის თითებში ყოველთვის იღვიძებდა მუსიკოსის სიფაქიზე, იუველირის სიზუსტე, ქირურგის სიმარჯვე. როცა ნაღმს, გრუნტი მოაცილეს, ოფიცერმა ფრთხილად აიღო იგი, მანქანასთან მიიტანა და სპეციალურად მომზადებულ ბუდეში ჩადო.

— ვინ წამოვა ასაფეთქებლად? — მიმართა პლიაკინმა ხელქვეითებს.

ასეა მიღებული პიროტექნიკოსებთან — პასუხსაგები დავალების შესასრულებლად მოხალისეებს გზავნიან. ყველა ხელქვეითმა წინ წადგა ნაბიჯი.

ოფიცერმა თან გაიყოლა უმცროსი სერჟანტი კრილი. სატვირთო მანქანა ნელა დაიძრა სოფლიდან. ძარაში ქვიშაზე, წითელი ალმის გვერდით უმცროსი სერჟანტი კრილი იდგა. ფრთხილად მართავდა მანქანას რიგითი ალექსანდრე ხაჭაპურიძე.

საფრთხე თავიდან აიცილეს.

**ა. პაგლოვსკი,**
**პოდპოლკოვნიკი,**
**(საქინფორმი).**

# ბაბილონის ეკლესიის ზარი

**ბაბილონის** ეკლესიის ზარი ბევრ ადამიანს ახსოვს. ეს ზარი ბევრ ადამიანს ბევრ ამბავს ჰყვებოდა. ეს ზარი ბევრ ადამიანს ბევრ ფიქრს ფიქრობინებდა. ეს ზარი ბევრ ადამიანს ბევრ ოცნებას ოცნებობინებდა. ეს ზარი ბევრ ადამიანს ბევრ ბედნიერ